ქართველთ საერთო ენის ფილოლოგიასა და ლექსიკოგრაფიაზედ

(ფილოლოგიური ესკიზები)

1. თვალი ანუ თუალი

ამ სიტყვაში ჩვენ ვპოვებთ მიმღეობის დაბოლოებას აწმყო დროის მოქმედებითის ზმნისას; სწარმოებს რაღაცა უცნობის ზმნისაგან. ეს ზმნა, ესე იგი თუ, სოლისებრი ≡ǀ ნიშნავს ალაროდიულს ენაზე—**მოტანას, მოყვანას**. ამ ფესვითგან **ხომ** არ სწარმოებს ქართული სიტყვა **მომტანის, მატარებელის** მნიშვნელობითა? მე ვგონებ, რომ ეს **თ** მსახურებდა შემდეგ საზოგადოდ **მისახვედრებელის** მნიშვნელობითა შემწევნელ ღონედ მრავალთა ზმნათა შედგენისათვის. მომაქვს მაგალითად სიტყვა **თნება**, რომელიც **ნიშნავს** მიფერებას, აქვს ცხადად ფესვი **ნება**, ესე იგი, მოხსენებულს შემთხვევაში **ნიშნავს**—ვისისამე ნებისაებრ მოქმედებას.

ხომ არა აქვს მასთან საერთო კავშირი **და**-საც, როგორც მისაბამს (приставка) მრავალთა ზმნათა დასაწყისში, რადგანაც ერთმანერთზე გარდაცვლა **დ** და **თ**, საერთო თვისებაა ქართველთა ენათა; როგორც მაგალითად **თ** აღმნიშვნელი ქართულს ენაში **სიმრავლისა**, სვანურში **დ**-ად იცვლება?

2. თანდებული pari სოლისებურთა წარწერილობათა

(შესწორება სეისის წერილის შესახებ)

Menuas'-ის მე-X-ე წარწერილობაში, სეისის წერილში მოხსენებულია თანდებული pari (პარი), სოლისებურად ≽ǀ≽≻ǀǀ≺ǀ, აღმნიშვნელი სიტყვისა გან, ანუ მიერ. სეისი სწერს: it is curious that in Georgian par is 'to steal'. აქ დიდებულმა მეცნიერმა ადგილი მისცა პატარა შეცდომას. ქართულად მართალია არის ერთი ზმნა პარე-ბა, რომელსაც აქვს მნიშვნელობა წარტაცებისა, გაქურდვისა და არა par (პარ). სოლისებურად ეს ზმნა უნდა ყოფილიყო parubi (პარუბი).

3. პრეფიქსი მესამეს პირისა ქართულის ზმნის მე-II-ე უღლვილებისა

ამ შენიშნვაში განზრახვა მაქვს ავხსნა, რას ნიშნავს უცნაური უ ზმნის მეII-ე უღლვილების მესამე პირისა, რომელსაც ვხედავთ პრეფიქსად ზედშესრულის შედარებით ხარისხში (შეთანასწორებითი უ და აღმატებითი უუ) და რომელსაც აგრეთვე ვხედავთ მნიშვნელობით არ ქონებისა, არ ყოლისა (რუსულის безъ)?

ამ ჟამად უკანასკნელ ორს შემთხვევას ცალკე ვტოვებ, რადგანაც აქ უ სხვა ფესვიდგან უნდა იყოს წარმომდგარი, რომელსაც შემდეგს შენიშნვებში, ვეცდები, განმარტება მივსცე. პირველის შემთხვევის გამო კი ვიტყვი, რომ სოლისებურ წარწერილობაში

იპოვება ნაცვალ სახელი udas (უდას), რომელიც ჰნიშნავს სიტყვას ეს. ამაში ხომ არ უნდა მოვსძებნოთ წარმოება მოხსენებულის პრეფიქსისა, რადგანაც სხვა ენებშიაც ამ გვარი შემთხვევა იშვიათი არ არის. მაგალითად ჰგონებენ, რომ i მესამე პირისა სემიტიურის ენებში წარმოსდგა ნაცვალ-სახელისაგან iati, ქართულად თვით, რომელიც დარჩენილა მხოლოდ სამარიტელთ ენაში.

4. ურია ანუ ჰურია

ბევრი თეორია დაუდგენიათ ამ სიტყვის ასახსნელად და მასთან, როგორცა ვხედავთ, ყოველგან უყურადღებოდ დაუტოვებიათ ქართველთა ენათა უბრალო გადაცვლა ხმათა. მე ვლაპარაკობ გარდაცვლაზე ევ ქართულ უ-ად. ამ ყველასათვის უცნაურის სიტყვის ასახსნელად მე ორს თეორიას ვარდგენ: ერთსა, რომ ეს გარდაკეთებაა ბერძნულის (ბიზანტიურის გამოთქმით) ევრიოს-ისა, ანუ რომ ებრაულის eber-ისა (ქართულის გამოთქმით ჰებერ). პირველს დასკვნაზე ადვილად მივალთ, როდესაც ბიზანტიურ გამოთქმას ამ სიტყვისას ევ შევცვლით უ-ად და მოვკვეთთ ბერძნულს დაბოლოებას. ამ მოსაზრების სასარგებლოდ გვემოწმება მოსე ხორენელის ცნობა (II, IX), რომ სომხეთის და მაშასადამე საქართველოს ებრაელები მიმდევარნი იყვნენ რაბბის ქანანისა და რაბბის ელიაზერისა, რომელნიც, ტალმუდის სიტყვით, სცხოვრებდნენ იერუსალიმის ტაძრის დარღვევის შემდეგ და მაშასადამე მხოლოდ ამ დროს შემდეგ მოვიდნენ საქართველოში, თუმცა კი არ ეთანხმება მატიანეთა ჩვენებას, რადგანაც ძნელად შესაძლებელია, რომ ქანანიას თვისის სწავლის მიმდევარნი ეპოვნა კავკასიაში. მეორე მოსაზრება იმაში მდგომარეობს, რომ ეს სიტყვა eber ხალ-

ხისებურის ენის გამომეტყველების თვისებით შეცვლილა. ამის სასარგებლოდ ის გარემოებაა, რომ აქამომდე არ ვიცით, კავკასიაში მოსახლე ებრაელები ამ სიტყვას როგორ ხმარობდენ. ძრიად შესაძლოა, რომ ვ ისინი ისე გამოსთქვამდენ, როგორც W (ჳ̂), ეხლანდელი ებრაელებისავით პოლშაში, და რომ ისინი ხმარობდნენ ძველს დაბოლოებას i, როგორცა ჩანს ფინიკიურის სიტყვებიდამ. ამ გვარად შეიძლება ავხსნათ სომხური სიტყვა, რომელიც ქართულად ასე გამოითქმის ჭრეაჲ და რომელშიაც ჭრ ნაშთია, ვგონებ, გამოთქმისა: აინ-ისა.

5. Schiri (ქართ. გამოთქ. შირი) სოლისებურთა წარწერილობათა

(ეტიმოლოგია სეისისა ჩემის მოსაზრების დამატებით)

შულცისაგან გადმოწერილ მე-XVI წარწერილობაში არის სიტყვა შირი, რომელსაც მნიშვნელობა აქვს **პურის ორმოსი, ქვის საფლავისა**; სეისი ამ სიტყვას ადარებს პლინიოსისაგან თავის Historia naturalis-ში (XIII, 73) მოხსენებულ კაბადოკიურ სიტყვასთან siros (სიროს), (ქართულად ნიშნავს **ორმოს**) და მოჰყავს ქართული soro (სორო) აღმნიშვნელი ხვრელისა და სომხური schirim (ქართ. გამოთქმით შირიმ), აღმნიშვნელი საფლავისა. მე ვუმატებ ამას სომხურ sor (ქართ. გამოთ. სორ) იმავე მნიშვნელობით, როგორც ქართული სორო და ვგონებ, რომ ამ სიტყვაში როლს თამაშობენ ისეთი სიტყვები, რომელნიც საერთონი არიან საზოგადოდ ქართველთ ენისა (ქართული, მეგრული, სვანური) და

სახელდობრ შ, რომელიც აღნიშნავს საგნის შინაგანობას და რომელიც წარმოებულია ზმნისაგან: შინება და არსება (ყოფნა). აქ ა-ნი ხშირად იცვლება ო-ნად, როგორც მაგალითად ქართულად ვარ, სვანურად არის ყორი.

ალექსი გრაენ.

19 ივნისს, 1884 წ.
ს.-პეტერბურგი

ერთებას ჰქვია «კავშირი (ლიგა) მშვიდობიანობის და თავისუფლებისა». მრავალი წარჩინებული პირნი ევროპის პოლიტიკური ასპარეზისა, მრავალი ნიჭიერნი პოეტნი და მწერალნი იღებენ მონაწილეობას ამ კავშირის მცნებათა გავრცელებაში, მაგრამ, ჯერ-ჯერობით მაინც, იგი ჰგავს დღე ნაკლულად შობილსა და უნიადაგო დაწესებულებას. დიდი უმრავლესობა აწინდელი ევროპის მმართველობათა წევრებისა და საზოგადოებისა, არა თუ დაცინვით, მტრულის თვალითაც უყურებენ მას, როგორც იმისთანა კავშირს, რომელსაც საგნად აუღია ბარბაროსულის, ყოვლად ბრმა ძალის ძალადობის მოსპობა სინიდისისა და სიმართლის საქმეებში, და რომელიც მიესწრაფება სამართლისა და სამართლიანობის მეუფების აღორძინებას ხალხთა-შორებრივი ცხოვრების უაღრესს საქმეებში მაინც... ადვილი გასაგებიც არის, თუ მოხსენებულ დაწესებულებათა წევრთ უმრავლესობა და მათ გავლენის ქვეშ აღზრდილი საზოგადოების უმეტესი ნაწილი ასე უყურებს «მშვიდობიანობისა და თავისუფლების კავშირის» მოღვაწეობას. საკვირველს ვხედავთ იქ, სადაც არ იყო მოსალოდნელი. ამას წინად შვეიცარიის მთავარს ქალაქ ბერნში იყო წლიური ჩვეულებრივი სხდომები კავშირისა. ამ სხდომებზე უნდა მოეპოვებინათ ღონისძიება ომების მოსპობისა და ნაცვლად მედიატორეთა სამსჯავროის შემოღებისათვის. სიტყვა ჩამოვარდა, სხვათა შორის, იმაზედ, რომ, რადგან ჯერ-ჯერობით ომები მაინც სუფევენ, სანამდის ეს მათი სუფევა გადავარდებოდეს, ის მაინც მოვახერხოთო, რომ ომის დროს ზოგიერთა მიწები და გზები მიუდგომელად, ნეიტრა-

ლურად იქმნან აღიარებულნიო. წარმოითქვა თუ არა ეს წინადადება, ფრანცუზები მაშინვე მოეჭიდნენ მას, როგორც ახალსა და მოულოდნელ კავს, და შეიტანეს წინადადება, რომ რადგან ასეა, მაშ ომის დროს ალზას-ლორენი ნეიტრალური მიწა იყოსო! პირდაპირ გულში მოხვდათ ეს სიტყვები ნემცებს, რომელთაც ჯერ კიდევ ყელში აქვთ გაჩხირული უბედური ალზას-ლორენი, ეგ ჩინებული ორი მაზრა, 150 წელთ განმავლობაში საფრანგეთისაგან ნაფუფუნები და აღყვავებული, მაგრამ ნაპოლეონის III წყალობით ლუდის თაყვანის მცემელთაგან დაპყრობილი. ამიტომაც ნემცებმა განაცხადეს კრებაში, რომ ისინი მეყვსეულად მიატოვებენ სხდომებს, უკეთუ ფრანცუზების ხრიკიანი წინადადება შეწყნარებულ იქნება. ეს შემთხვევა კვერსა ჰკრავს გერმანიის გამოჩენილი მხედართ-მთავრის სიტყვებს, კავშირისადმი მიმართულთ პასუხად იმ თხოვნაზე, რომლითაც მას იწვევდნენ ამ საზოგადოების წევრობის მისაღებლად: «ჯერ კიდევ ბევრი კოკა წყალი ჩაივლის, ჯერ კიდევ მრავალი საუკუნენი შეცურდება წყვდიადის სივრცეში, ვიდრე ხრმალს კალამი შესცვლის, თოფ-იარაღს—მელანი, ზარბაზანს—ეპისტოლე და გონიერი მსჯავრი—ომსაო.»

***

ომის ასაცილებელი წამალი თუ ჯერ ვერ გამოუგონიათ, თვით წამლის სამთავრო—ექიმობა ანუ მედიცინა, როგორც თეორეთიკული, ისე პრაქტიკულიც მსწრაფლი და გარდანქმან-

ჭაიარის ნაბიჯით მიდის წაღმართ-წაღმართ. ამას ამტკიცებს და დასკვნანი მეცნიერ ექიმთა, რომელნიც წარმოითქმებიან ხოლმე მათს რეფერატებში ჩვეულებრივს წლიურს კრებაზე ევროპისა და ამერიკის ერთსა თუ მეორე ქალაქში. წრეულს კრება იყო დანიის სატახტო ქალაქ კოპენჰაგენში. არც ერთს ამისთანა კრებაზე, როგორც სამართლიანად სთქვა ინგლისის მეცნიერმა ჯემს პაჯეტტმა არ დასწრებია იმდენი ექიმნი—მეცნიერნი და გარეშე მაყურებლები, რამდენიც წელს დაესწრო. 1,400 მეცნიერი—ექიმი და 300 მაყურებელი—ადვილი სათქმელია! მთელი დანია, მეფის სახელმწიფოდამ დაწყებული უბრალო ქალაქელ მუშამდე, აღტაცებულის სიხარულით მიეგება ამ ფრიად საყურადღებო კრებას, რომლის სხდომებზე ყოველ-დღეობით ესწრებოდენ სამასი წარჩინებულნი პირნი დანიის სამმართებულო წრისა და მათ შორის თვით მეფე და დედოფალი დანიისა, მინისტრები და სხ. იყვნენ აგრეთვე საბერძნეთის მეფე და დედოფალიც. მრავალ მეცნიერთ შორის პირველი ადგილი ეჭირათ: პასტერს, საფრანგეთის უმთავრესს წარმომადგენელს ამ კრებაზე, და ვირხოვს—გერმანიისას და პაჯეტს ინგლისის წარმომადგენელს. სხდომებზედ თავმჯდომარეობდა დანიის პროფესორი პანუმი, რომელიც კრების გახსნისათანავე გარემოების შესაფერის სიტყვით მიეგება საპატიო სტუმრებს. «ამ გვარ კონგრესთა (კრებების) საგანი არის—სთქვა პანუმმა—ბრძოლა კაცობრიობის მტერთა წინააღმდეგ, ე. ი. წინააღმდეგ ავად-მყოფობათა და მათ მიზეზთა. ამ კეთილშობილურმა საგანმა უნდა აღძრასო წევრთა შორის დიდი გრძნობა ძმობისაო.» შემდეგ ყურადღება მიაქცია თავის სიტყვაში კრების სხვა-და-სხვა ტომობას: «ეროვნობას არავითარი კავშირი არა აქვს მეცნიერებასთანაო, ჩვენს კრებას მასთან არაფერი საქმე არა აქვსო. აქ საქმე არ

ეხება არც ეროვნულთ და არც პოლიტიკურ საგნებსაო. ერთიც არის სიტყვა შეხები ეროვნულის თავ-მოყვარეობისა და უპირატესობის მიმცემი რომელიმე ეროვნებათაგანისათვის იქნებოდა შეურაცხყოფა კრების ყველა წევრებისა, რომელთაც თანაბარის უფლებით შეუძლიათ თავ-თავის ეროვნობით ამაყობა და ერთი და იგივე გვარი ვალი აქვსთ თავ-თავისი სამშობლოის სიყვარულისა. მე დარწმუნებული ვარო, რომ ყველა ამ გრძნობათ შევინახავთ ჩვენს გულთა სიღრმეშიო». პანუმის მერმე ილაპარაკა გერმანიის წარმომადგენელმა ვირხოვმა და შემდეგ საფრანგეთისამ—პასტერმა. ხანგრძლივი ტაში და გრძნობით დაძახილი მრავალი ბრაეო ერგო პირველ ორს მჭევრ-მეტყველთ, მაგრამ მესამემ, როგორც ამ ორს, ისე სხვებსაც ერთობ გადააჭარბა იმ თანაგრძნობით, რომელსაც მეტის-მეტი გულ-ალტყინებით და სიფიცხით უცხადებდა მას ორი ათასი ევროპიელთ რჩეული საზოგადოება. «როცა წარმოსდგა პასტერი—ასე მოგვითხრობენ გაზეთებში დაბეჭდილი ანგარიშები—კაცს ეგონებოდა ირყევოდნენო უზარ-მაზარის დარბაზის სვეტნი, ისეთის ატეხილის, რამდენიმე წამის განმავლობაში შეუწყვეტლის ტაშის კვრით მიეგებნენო მას.» როდესაც შესწყდა ტაში, კრების სხდომათა გმირმა თავის დედა-ენაზედ, რომელიც მასთანავე არის ხალხთა შორებრივი ენაც, საფრანგეთის მაგიერ მადლობა უძღვნა თავსმჯდომარეს მეცნიერების ხელუხლებელ (ნეიტრალურს) ბალყუმზე (ნიადაგზე) დაყენებისათვის. «ჩვენ გამოწმებთ—ამბობდა იგი—ამ ნეიტრალობას ჩვენის ყოფნით ამ კრებაზე; ტაშს ვუკრავ პატივცემულის პანუმისაგან წარმოთქმულ გრძნობებს. მეცნიერებას არა აქვს მამული, ანუ, უკედ ვსთქვათ, მეცნიერების მამული შეიცავს მთელს კაცობრიობას. აქ ყოფნა დანიისა და საბერძნეთის მეფეებისა, რომელნიც სალამით და-

უხვდენ ქვეყნის ყოველ კუთხიდამ შემოკრებულ მეცნიერებს, განა არ აკურთხებს ამ ჭეშმარიტებას? მაგრამ, ბატონებო, მეცნიერების კაცი უნდა ზრუნვიდეს ყველაფერზე, რასაც კი შეუძლია მისი მამულის სახელის განთქმა: ყოველს დიდ მეცნიერში თქვენ შეხვდებით დიდს მამულის-შვილს. თვისი მამულის სახელისათვის რაიმეს შეძინების აზრი, მეცნიერს ამხნევებს ხანგრძლივის ღვაწლისათვის; აჩემებული პატივ-მოყვარეობა, რომელიც აწუხებს მას თავის მამულის ნახვას კაცობრიობის წინა რაზმში, იძულებულ-ჰყოფს აიტანოს დიდად ძნელი, მაგრამ სახელოვანი ჯაფა, რომელსაც აგვირგვინებს საუკუნო ძლევა-მოსილება. მაშინ კაცობრიობა სარგებლობს ამ მონაღვაწებით, ქვეყნის ყოველ კიდიდამ მომდინარით; ადარებს მონაღვაწს მონაღვაწთან, მათს არჩევანში შედის, და სიამაყით იფლობს, ისაკუთრებს ხალხთა დიდებას—მეცნიერთა მონაგარს. თქვენ, ბატონებო, წარმომადგენელნო კაცობრიობის საამაყო ცოდნათა; თქვენ, აქ მობრძანებულნო მსოფლიოს სალაროში თქვენის შრომის მოყვარეობით მონაღვაწის შესატანად; თქვენ, რომელთ სახელი შეადგენს თქვენის ქვეყნის სიამაყეს—შეგიძლიათ იამპარტავნოთ მით, რომ თქვენის მამულის სარგებლობისათვის მოღვაწეობით, მთელს კაცობრიობას უწევთ სამსახურს!»

მეორე სხდომა პირველზე უფრო მრავალ-წევროვანი ყოფილა, რადგანაც ამ დღეს (თერთმეტს აგვისტოს) პასტერს უნდა წაეკითხა რეფერატი ცოფის თაობაზე.

* * *

მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ ცოფით დაშხამულს დღემდის წამალი არა ჰქონდა. აგრეთვე კარგად იცის ყველამ, რომ ცოფისაგან სიკვდილი ყოველ გვარს სიკვდილზედ უსაშინელესია. პასტერს ბევრი უცდია, რომ როგორმე დაეხსნა

გაცობრიობა ამ საშინელი სენისაგან, და ბოლოს მიუგნია უმზარი ღონისძიებისათვის. პირუტყვებზედ ბევრი ცდის შემდეგ იმას დაუმტკიცებია, რომ ცოფის აცრა შეიძლება იმ გვარადვე, რა გვარადაც უცრიან ყვავილსა. ცოფი, ერთი პირუტყვიდგან გადასული მეორეზედ, მეორიდგან მესამეზედ, მესამიდგან მეოთხეზედ, და სხვებზედ, თურმე თან-და-თან სუსტდება, და თუ ეს შესუსტებული ცოფი აუცრით ჯან-მრთელს პირუტყვს, იგი ცოტაოდნად უქეიფოდ გახდება, რომლის შემდეგ ცოფი სრულიად აღარ შეეყრება, თუნდაც რამდენჯერმეც დაგლეჯილ იქმნას გაცოფიანებული ძაღლისაგან, ან სხვა პირუტყვისაგან. პასტერს საგანგებოდ არჩეული კომისიისათვის წარუდგენია პარიჟში ოც-და სამი ცოფით აცრილი ძაღლი და ამდენივე აუცრელი; კომისიას ქუჩებში დაუჭერია ცოფიანი ძაღლი და ყველა პასტერის ძაღლები დაუგლეჯინებია. დაგლეჯის შემდეგ აცრილ ძაღლებში არც ერთი არ გამხდარა ავად, აუცრელები კი თითქმის სრულიად დაცოფიანებულან.

მკითხველი ადვილად გადასწყვეტს, თუ რა დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ამ აღმოჩენას, და რაოდენად უნდა დაეხმაროს იგი კაცის ჯან-მრთელობას და მის დახსნას ერთ-ერთი საშინელი სიკვდილისაგან.

* * *

ამ დიდს, საექიმო ისტორიაში თითქმის ეპოქის შემადგენელს აღმოჩენაზე ნაკლები მნიშვნელობა არა აქვს იტალიელ მეცნიერ-ექიმის ტომაზი-კრუდელის აღმოჩენას, რომელიც თვით ტომაზიმ რეფერატითვე გააცნო კრებას და მთელს ქვეყანასაც. ამ პატივ-ცემულ მსწავლულს დიდი ხნის განმავლობაში შეუსწავლია ციება პონტოს ზღვის ნაპირა ჭაობიან ადგილებში, იქ სადაც სასტიკი მარიუსი თავს იფარვიდა თავის

რომელ მტერთაგან, და სადაც ავი თვისების ციება გამუდმებით ბუდობს. იმას შეუნიშნავს, რომ ამისთანა ადგილებში ადგილობრივ მცხოვრებში ყველა როდი ხდებიან ავად, —არიან თურმე ბევრნი ჯაღაბობანი, რომელთაც ციება სრულიად არ ეკარება. ტომაზი ამ მოვლენას ხსნის ბუნებითი შერჩევით, რომლის ძალითაც ციების შხამი არ ეკარებათ, დიდხანს ცხოვრებენ და თავიანთ ჩამომავლობას გადასცემენ ამავე თვისებასა. ამ სახით ჭაობიან და ციებ-ცხელებიან ადგილებში მრავლდებიან პირნი, რომელთაც ამ ავად-მყოფობის შხამი ან სრულიად არ უდგებათ, და ან სუსტად მოქმედობს მათზედ და მცირდება რიცხვი იმ პირთა, რომელთაც ეს სენი ადვილად ედებათ.

შერჩევითი კანონის მოქმედება არ არის თურმე ერთად-ერთი მიზეზი, რომელიც ეწინააღმდეგება ციების შხამის მოქმედებას ადამიანის სხეულზედ. შხამიან ადგილებში მცხოვრებლებს ჰსცოდნიათ თურმე უებარი წამალი, რომელიც ბევრით სჯობნებია ქინა-ქინასაც და დარიშხანსაც. ექიმების უძლიერესი წამალი ქინა-ქინა, ტომაზის სიტყვით, თუმცა თავდაპირველად ძლიერად მოქმედობს ციებაზედ, მაგრამ შემდეგში მისი გავლენა ერთობ სუსტდება, და ამას გარდა თვითონ ქინაქინაც მავნებელია სხეულისათვის, მეტადრე დიდ ხანს თუ ხმარობენ მას. დარიშხანა თუმცა ქინაქინაზედ უფრო კარგად მოქმედობს ქრონიკული ციების წინააღმდეგ, მაგრამ სხვა მხრით ბევრს ექიმებს იგი მავნებლად მიაჩნიათ და ხალხი ხომ ძალიან ავის თვალით უცქერის. ციებ-ცხელებიანი ადგილების მცხოვრებნი იტალიაში ამ სენის წინააღმდეგ თურმე ხმარობენ ლიმონის გამოხარშულს წვენსა, რომელიც ამ გვარად მზადდება: დასჭრიან მთელს ლიმონს ქერქიანად და მარცვლებიანად წვრილ-წვრილს ნაწილე-

ზად, ჩაჭყრიან პატარა ქოთანში, დაასხმენ სამს ჩიქა წყალსა და იქამდის ადუღებენ, ვიდრე ერთი ჩიქა წყალი არ დადგება. შემდეგ ანელებენ ამ წყალს და სმენ. ტომასის მიუქცევია უყურადღება ამ წამლისადმი, უცდია მისი მოქმედება ბევრს ავაციებით ავად-მყოფს ადამიანზედ და დარწმუნებულა, რომ ეს წყალი ძლიერი და მშვენიერი წამალია. თავის რეფერატში იგი ძლიერ აქებდა ამ წამალსა და ურჩევდა ექიმებს მისი ხმარება უთუოდ შემოეღოთ. მართალია, ეს წამალი მეცნიერული წყაროდგან არ მომდინარეობს, სთქვა მან ბოლოს, მაგრამ რადგანაც იგი თითქმის უებარი ღონისძიებაა, ამიტომ ფარმაკოლოგიაში ერთი უპირველესი ადგილი უნდა დაიჭიროსო. ჩინებული, დიდად გასახარებელი და საყურადღებონი არიან ორივე აღმოჩენანი, მაგრამ ჩვენ მაინც უნდა ვსთქვათ ინგლისელებთან ერთად, რომ «ერთი ნამცეცი წინ-დახედულება სჯობია ერთს რამდენსამე ჩანახს წამლებისას.»

***

რაც პასტერმა სთქვა მამულზე და მეცნიერებაზე, ჩვენის აზრით სწორედ იგივე ითქმის მამულზე და პოეზიაზე. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ მეცნიერულ აღმოჩენას უფრო ნაკლებად სჭირია ერთის ენიდამ მეორეზე გადაღება უცხო ხალხში ფეხის მოდგმისა და გავრცელებისათვის, ვიდრე პოეტურ ნაწარმოებს. მაშასადამე თავის მამულის სახელისათვის მოღვაწე პოეტს ეჭირება მთარგმნელი, რომლის ღვაწლი შეადგენს საპატიო რგოლს კაცობრიობის სასახელო მოღვაწეობისა და გონებითი ქმნილების ჯაჭვში, რომ თავის-თავადთა (ორიგინალური) პოეტთა ნაწარმოებს დაეუფლოს კაცობრიობა, თავის გონებითი საღაროში პოეზიის ობოლ-მარ-

გალიტების შეტანით. დღემდის, ამისთანა მთარგმნელის უყოლველობით ჩვენი მართლაც და მდიდარ პოეზიას ვერ ეცნობოდა კაცობრიობა, რომ მით ესტეტიკური გრძნობები დაეკმაყოფილებინა და ჩვენ სახელი შეგვძინებოდა. დღეს კი, ჩვენდა სასიამოვნოდ, ნელ-ნელა ჩნდებიან ამისთანა სასურველი შუამავალნი ჩვენსა და ევროპის საზოგადოების შორის. გრაფს ა. ბობრინსკის ჩინებულად, როგორც საიმედო პირებმა გადმოგვცეს, გადაუღია ფრანცუზულად «თავისუფალის» თარგმნით უკვდავი ქმნილება ჩვენი გენიოსისა; ბ-ნ ი. მეუნარგია იმავე ქმნილებას თარგმნის ფრანცუზულადვე, დედანის კილოსა და აზრის მტკიცედ დაცვით; ჩვენი დღეს ახლო ნაცნობი ბ. არტურ ლეისტი ხომ მოგვეხსენებათ აცნობებს გერმანიისა და პოლაკების საზოგადოებას ჩვენი პოეზის მარგალიტებს; მაგრამ ამათში ყველაზე უფრო ნიჭიერად, მუყაითად და თანისთანობით იღწვის ნიჭიერი მთარგმნელი—პოეტი ბ. თხორჟევსკი, სატირული ჟურნალის ქნარის რედაქტორად ნამყოფი, რომელსაც განუზრახავს გადათარგმნოს ქართული პოეზიის საუკეთესო ლექსთ ქმნილებანი (რუსულად) და ერთ-ტომად დაბეჭდოს. სხვათა ჩინებულ ნაწარმოებთა შორის ეს ფრიად პატივ-საცემი ჩვენ მიერ პირი სთარგმნის «ვეფხვის ტყაოსანს» (რაღა თქმა უნდა, კაცმა ქართულიდამ სთარგმნოს და «ვეფხის-ტყაოსანი არა, ეს ხომ რომში მისვლა და პაპის უნახავად წამოსვლა იქნებოდა!) აკაკის თორნიკე ერისთავიდამ ერთს თავს, სახელდობრ ომს და მ. გურიელის ჯერ დაუბეჭდელი პოემის რაშიდ ვარდანიძის მეორე ნაწილის პირველს თავს «ძარჩხალის მთას.»

ვგონებ ყველამ ხელის წამართვის მეტი ვერაფერი ისურვოს ამ საქმეში ბ. თხორჟევსკისათვის და ჩვენი საზოგადოება ხომ საუკუნოდ დავალებულად უნდა სთვლიდეს თავს ამ პატიოსანის და ნიჭიერის პოეტი-მთარგმნელისაგან.

ჯ.

შენიშვნები

ჩვენს ცხოვრებასა და ლიტერატურაზედ.

ჩვენი მდგომარეობა.—ჩვენი ბუნების სიმდიდრე და მისი წარმოება ჩვენს უკიდურეს სიღარიბესთან დაკავშირებით.—ღარიბი და ღატაკი ლიტერატურული წარმოება მდიდარს და უხვს ლიტერატურულ წარმოებასთან ერთად ჩვენში. ისტორია და პოეზია. იაფი ფასის ისტორიკოსები.—გაზ. «კავკაზი» № 92. გაზ. «ახალი მიმოხილვა» № 136. საქართველოს მოკლე ისტორია მ. ჯანაშვილისა და თ. გ. ერისთავის ბიოგრაფია.

ვინც ჩვენს საზოგადოებრივს ცხოვრებას აკვირდება, ადვილად შენიშნავს, რომ ჩვენი საზოგადოება, ანუ ესრედ წოდებული განვითარებული მისი ნაწილი, ძალიან ცდილობს, რომ მონაწილეობა მიიღოს ცხოვრების მიმდინარეობაში, დააჩნიოს თავისი კვალი და ასე თუ ისე გზა გაუკვალოს ქვეყნის სწავლას და ცოდნას. ეს ნაწილი ძალიან მცირეა რიცხვით, ძალიან სუსტია, მაგრამ არც ერთი და არც მეორე გარემოება მის მნიშვნელობას კიდევ ისე მჭიდროდ ვერ შემოსაზღვრავდა, ისე მცირე სარბიელს ვერ შემოუხაზავდა, რომ თვით ცხოვრება მეტად განსაკუთრებულ და განსხვავებულ ვითარებასა და გარემოებათა შორის არ სწარმოვობდეს.

ბევრ-გვარი საქმე და მოღვაწეობა დღეს ჩვენის საზოგადოების შეგნებულის ნაწილის გარეშე სწარმოობს და მისი არსება, გონება და გული იმაში არავითარს მონაწილეობას არ იღებს და, მაშასადამე, არამც თუ ვარჯიშობას არის ამის გამო მოკლებული ყოველ-მხრივის და სრულის ცხოვრების შესაძენლად, არამედ დოვლათი და ქონებაც ქვეყნისა ამის გამო მალიან და მალიან მცირედის რაოდენობისა გვრჩება ხელში. ამ აზრის დამტკიცება მაგალითებითაც შეიძლებოდა, მაგრამ ვშიშობთ, რომ მაგალითების დასახელებამ არ მოგვისპოს შეძლება მკითხველთან ბაასისა. ჩვენ მხოლოდ ორიოდე საგანს შევეხებით მთავარის ჩვენის აზრის გამოსარკვევად.

ხალხი და ქვეყანა მაშინ იცხოვრებს ბედნიერად და ნივთიერადაც მაშინ იქნება დაკმაყოფილებული, როცა ბევრ-გვარი წარმოებაა მის ხელში. ხალხს მარტო პურის მოსავალი არ გაამძღობს, არ შემოსავს და არ აცხოვნებს. მიწის შემუშავებასთან: ხვნა-თესვაა თუ მევენახეობა, კულტურულ მცენარეთა გაშენებაა თუ მრეწველობაში დიდად გამოსადეგი და სასარგებლო წარმოების გამდიერება (ბამბა, აბრეშუმი), მებაღეობაა თუ საქონლის ყოლა და მეძროხობა (წველის წარმოების გამდიერება), უნდა ხალხსა და ქვეყანას ცოტა სხვა ხელოვნებაზედ მიუწვდებოდეს ხელი და რამდენიც უფრო ბევრია და მრავალგვარი ეს ხელ-მისაწდომი საგნები წარმოებისა, იმდენი უფრო კარგია ქვეყნის დოვლათისა და ქონებისათვის, იმდენად უფრო უკეთესია ქვეყნის ნივთიერი მდგომარეობა და ბედნიერია თვით ხალხი. ისეთი გვარი წარმოება, როგორიც არის მაგ. ქვაბუნდის წარმოება, ქვა-ნახშირის ძებნა და მისი შემუშავება, სხვა და სხვა გვარი საღებავი და სათფერავის ძებნა მიწაში და წარმოება (ბათუმის მაზრაში და ახალციხისკენ იპოვება ამათი

მადნები), აგრეთვე გლაუბერის მარილის წარმოება (მუხრავანში, საგარეჯოში და ბევრგან სხვაგან), წარმოება რკინისა, თუჯისა, ოქროსი და ვერცხლის მადნებისა, სპილენძისა, გოგირდისა, ნავთის წყაროებისა (იმერეთში, კახეთში, ბაქოში)—ყოველივე ეს შეადგენდა დიდსა და ულეველს სიმდიდრეს ქვეყნისათვის, რომლისთვისაც იგინი ღმერთს მიუნიჭებია ისეთის სიუხვით, როგორც ჩვენს ქვეყანასა აქვს მინიჭებული. ასისა და ორასის მილიონის მანათის ქვა-გუნდა და ქვა-ნახშირი გავა ჩვენის ქვეყნიდამ და ჩვენ გაგვამდიდრებდა, რომ მათი შემუშავების საქმე ჩვენ გვქონდეს ხელში. და რაღა უნდა გვიშლიდეს, როდესაც ყველა ეს ჩვენს საკუთარს ქვეყანაში იპოვება, ჩვენს მიწასა და მამულში მოიძებნება. ფული და კაპიტალი თავად სძენნის ისეთს წყაროს სიმდიდრისას და ხალხთა კეთილ-დღეობისას, როგორიც არის ნავთის წყაროები, მაგრამ როდესაც ეს ნავთის წყაროები სიმძაფით სცემენ მაღლა ცაში ამ კაპიტალების წყალობით, ისე რომ ვეღარ დაუყენებიათ ეს ნავთის შადრევანი, როდესაც ღამის მთელი ევროპა მოირწყოს მით და როდესაც იგი ხდება მილიონების დამბადებელი, ჩვენ, ქართველობა, წყალს გარეშე ვართ დარჩენილი და მხოლოდ სუნს შევცქერით.

მაგრამ ახია ჩვენზედ. უწინვე უნდა კარგად გვცოდნოდა, რომ ასე მოხდებოდა, რომ ჩვენ თვალებს დავიბრეცავდით ჩვენივე სიმდიდრის ცქერით, რომლის გამოყენებასაც ვერ მოვახერხებდით.

ლიტერატურული წარმოება სრულიად წააგავს ქვეყნის ეკონომიურს წარმოებას. გონებრივი მოღვაწეობა ქვეყნისა პირდა-პირ დამოკიდებულობასა და ურთიერთობაშია ბუნებისა და ბუნებრივ სიმდიდრეთა და სიუხვეთა სარგებლობასთან. ნივთი-

რი კეთილ-დღეობა ხალხისა ყველგან დასაბამი ყოფილა გონებრივის წარმატებისა, მეცნიერების აღორძინებისა, ხელოვნების შემოქმედობისა და სულიერის ინტერესების განცხოველებისა. ამ ურთიერთობას ეხლა აღარავინ აღარ უარ-ჰყოფს. გონებრივი წარმოება მოქმედობს ნივთიერს წარმოებაზედ და უკუ მობრუნებით კიდევ, ნივთიერი წარმოება გონებრივ წარმოებაზედ.

ჩვენ განვმარტეთ არა სანეტარო მდგომარეობა ჩვენის ქვეყნის ნივთიერის წარმოებისა; იმავე არა სანეტარო მდგომარეობაშია, ჩვენდა სამწუხაროდ ჩვენი გონებრივი წარმოებაც. როგორც იქ, ისე აქაც, მივცივებივართ ორსა და მხოლოდ სამს გვარს წარმოებას და მიგვიტოვებია ბევრი სხვა გვარი ხელ-შეუხლად. როგორც იქ ჩვენ მხოლოდ პურისა და ღვინის წარმოებას გავყოლივართ, ისე აქ მხოლოდ ერთსა და ორს ჩავსცივებივართ. ან არა და ჩვენ კი არ ჩავცივებივართ, თვით ისინი გვეჩხირებიან მუდამ თვალში, ჩვენ მდგომარეობაში მხოლოდ ისინი გვიღვიძებენ გონებას, აღელვებენ გრძნობას. მე ვამბობ ჩვენს ისტორიასა და პოეზიაზედ.

პოეზიას ამ ჟამად თავს ვანებებთ და ისტორიაზე გადავდივართ. ზემოდ ჩვენ მოვიხსენეთ, რომ ვინც აკვირდება ჩვენ საზოგადოებრივს ცხოვრებას, იგი შენიშნავდა, რომ ჩვენი საზოგადოობრივ მოღვაწეთა დასი უფრო მომეტებულის გულმოდგინეობით მუშაობს მხოლოდ ერთსა და ორს გვარ საქმეზე და მეტს კი ვეღარ გასწვდომია. ამისა გამო ჩვენი გონებრივი ცხოვრება ჰარმონიულ შეწყობილობით და სისრულით სრულიად არ განსხვავდება. ჩვენს გონებრივს მოღვაწეობაში ისეთ-ისეთი ნაკლი მოიძებნება, ისეთ-ისეთი დატოვებული მოუმკალი ყანები და სვეები, რომ გიკვირს, ასე რამ მიამინა ხალ-

ხის გონება და გონებრივი ძალნიო. მაგრამ ნამდვილად კი ასეა. ასეა იმავე მიზეზებისა გამო, რა მიზეზებითაც ულეველნი წყარონი ჩვენის ნივთიერის ბედნიერებისა დღეს ჩვენგან წარმოებაში არ არის შესული და, ვინ იცის, ვის გაახარებს. ისე აქაც. ჩვენის ქვეყნის ავისა დ კარგის შესწავლა, ჩვენის ცხოვრების დაკვირვება, ჩვენის წარსულისა და აწმყოს გამოძიება და გამოკვლევა სრულიად ჩვენ არ გვაძლევს ხელს, არ გვეხერხება, და სხვას კი ხელს აძლევს, ძალიან ეხერხება, სარფა და გამოსაყენებელია. იმავ ჩვენის უხეიროობისა გამო ჩვენ არც ქართული მეცნიერება გვაბადია, რომელი სფერაც გინდა აიღო მისი: ბუნების მეტყველება თუ იურიდიული მეცნიერება, ექიმობა, თუ სხვა რომელიმე (არითმეტიკაც კი არა გვაქვს ქართული აქამომდე), არც რიგიანი ქართული თეატრი და არც სხვა რამე. ყველა ესენი იმავე დროს ჩვენს გვერდზე განვითარებაში არიან შესულნი, საქებურს წარმატებაში შედიან. ხოლო რაც შეეხება ყველა ამ უკანასკნელთა მიმდევარს, ყველგან კარი ღია აქვს, პატივი და დიდება დიდი და, სახელსა და ქებას გარდა, კუჭიც მაძღრადა აქვს.

მაგრამ მივუბრუნდეთ ისევ ჩვენს ისტორიულს ყანას? რა მდგომარეობაშია ჩვენი ისტორიული მეცნიერება და რას ვაკეთებთ თუნდ ამ საგნის შესახებაც, თუმცა კი ჩვენს წარსულს თავ-გადასავალზე ისე ლაპარაკს არ ჩამოვაგდებთ, მეტადრე უცხოსთან, რომ მითი თავი არ მოვიწონოთ.

—

ამ ხანობით ჩვენ გვსურს მკითხველის ყურადღება მივაქციოთ ორს რუსულს წერილს ჩვენ წარსულ ცხოვრების თაობაზე და ორს ქართულს შრომას იმავე საგნის შესახებ. პირველ ორს წერილში, ერთი გაზ. «კავკაზშია» დაბეჭდილი და

მეორე კი «ახალ-მიმოხილვაში». ორთავე წერილის ავტორნი, რასაკვირველია, იმიტომ კი არ მოღვაწეობენ რუსულ გაზეთებში, რომ ქართულად წერა და შრომა არ ეხერხებოდეთ. რა ბძანებაა! ან იმიტომ კი არა, რომ იქ სტრიქონზე გადაკვეთილი სასყიდელია დანიშნული, ეს მათთვის რა საკადრისი იქნებოდა. (თუმცა კი უნდა კაცმა სულს ქვეშა სთქვას, შრომა უნდა დაჯილდოვდეს ყველგან). ქართულს ლიტერატურას ჯერ-ჯერობით ამ განვითარებამდე არ მიუღწევია, რომ ზემოხსენებულთ წერილთ ავტორებს ჯეროვანი სასყიდელი აძლიოს, ისე როგორც არ უძლევიათ ბევრს სხვა პატარა ერის ლიტერატურულ მოღვაწეთათვის მხოლოდ დროებით, გამოდარებამდე, ეს უნდა იყოს მიზეზი, რომ ერთ ამ ვაჟ-ბატონთაგანმა ხმა-მაღლად, საჯაროდ აღიარა, რომ ქართული ლიტერატურა, ანუ ადგილობრივი მწერლობა და ლიტერატურანი ხელოვნებით დანერგილნი მცენარენი არიან, რომელთაც არც ფესვები აქვთ გამდგარი და არც ჯეროვანი ნიადაგი განვითარებისათვისაო. დიალაც, დიალაც, ბატონო, რომ, რასაც თქვენ ამბობთ, ეგ აგრეა. მაგრამ ამას საჯაროდ როცა ჰყვირიან, იმასაც ჰღაღადებენ, რა მიზეზი აქვს ამ გარემოებას და ის მიზეზი საწყენია და ღრმად შეურაცხ-მყოფელი თქვენი, ჩვენის ბედის მწერალნო, თუ არა. რატომ იმასაც არ ჰღაღადებთ, რომ ის ვითარება, რაც საფუძვლად გახდა ჩვენის მწერლობის და, იქნებ უარარაობისა, უშინაარსობისა, თვითც ხელოვნურია, ფესვებ გაუდგმელი, უ-raison d'aitr'-ო, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ. მაგრამ ეს თქვენ, გეტყობათ, ფიქრშიაც არ მოგდით: რაც მართალია— მართალია და როგორ არ უნდა ვსთქვათო. დიაღ, ფაქტი ასეთია, როგორადაც თქვენ აღნიშნეთ, მაგრამ განმარტება ამ ფაქტისა სხვა არის, ფილოსოფია მისი თქვენ, ეტყობა,

არ შეგხებიათ და თქვენ წერილში ხელიც არ გაგინძრევიათ, რომ გადაკვრით, მიხვედრით მაინც გეთქვათ ორიოდე სიტყვა იმაზე.

მაგრამ ეს არაფერი, მეორე წერილი ჩვენის პუბლიცისტისა რომელიც დაბეჭდილი იყო იმავ «კავკაზში» და რომელიც შეეხება თათარ-ხან დადიშკელიანის წერილს საქართველოს სამხედრო წყობილობაზედ მეთორმეტე საუკუნეში («ივერია» № 10, 1883 წ.) უფრო ნამდვილს მარგალიტებს წარმოადგენს კრიტიკულისა და პუბლიცისტიკურის ხერხებისას და მოპყრობისას პატიოსანის ნაწერისა და ნამოქმედარისადმი. ავტორს დაუხვევია ხელზედ ერთი თუ ორი საეჭვო ღირსების მოსაზრება მეცნიერულის გამოკვლევისა და ძიების ხერხებზედ, დასტრიალებს მათ თავზედ და განუსჯელად ჰკიცხავს მას, ვინც მის მოწონებულ ხერხებს არ ხმარობს ამ ძიების დროს. ვისაც წაუკითხავს ზემოხსენებული წერილი ბ-ნის თ. დადიშკელიანისა, დაგვეთანხმება, რომ მეტის თავ-დაკავებით დასკვნათა და საზოგადო მოსაზრებათა შედგენასა და გამოთქმაში, მეტის მიუდგომლობით, მეტის გულ-გრილობით ყოველ-გვარ გავლენიან ტენდენციისადმი, არ ყოფილა თითქმის დაწერილი არც ერთი წერილი და ისტორიული გამოკვლევა ჩვენს ლიტერატურაში, ვიდრე დაწერილია «საქართველოს მხედრობის განხილვა 1089 — 1122 წლამდე». ასე გასინჯეთ თვით დ. ბაქრაძის ისტორიული მონოგრაფიებიც კი ვერ აჭარბებენ ამ წერილს ისტორიულის ობიექტივიზმით. ყოველს ავტორის საზოგადო მოსაზრებას თავისი საფუძველი აქვს საძირკვლად, ყოველს განმარტებას ბუნებრივი და მარტივი არგუმენტაცია მიუძღვის წინ. მაგრამ მოგეხსენებათ, რომ ბევრია ისეთი, რომელსაც აბრაზებს სხვის გულ-დასმითი, დალაგებული, დაწყნა-

რებული კილო მსჯელობისა ჭ, რამდენადაც უფრო მეტს ხერხს იჩენთ ამ დროს, იმდენად უფრო ხელდება და ვნებათ-ღელვას ეძლევა ის, ვინც თქვენ წინააღმდეგ აპირობს გამოლაშქრებას. ასე მოუვიდა სწორედ «კავკაზში» დაბეჭდილის წერილის ავტორსაც. ბევრს სცდილობს უკანასკნელი დაამტკიცოს უსაფუძლობა დადიშკელიანის სტატიისა, მაგრამ მისი ცდა ამაოდ და უნაყოფოდ რჩება: ვერავის ვერაში აჯერებს და ვერავის თავის მეცნიერების ძიების ხერხებით ვერ აკვირვებს. აი მაგალითებიც და ვნახოთ, როგორ ცდილობს ავტორი დაარღვიოს მისგან ხმარებულ ხერხების უვარგისობა. «როგორც მიღებულია, მოჰყავს «კავკაზის» მეფელეტონეს ერთი ადგილი დადიშკელიანის წერილიდამ,—რიცხვი მაშინდელის საქართველოს სამეფოს მცხოვრებთა მიაღწევდა ოთხ-მილიონამდე. ხოლო თუ ვიანგარიშებთ, რომ ათას სულზედ 10 კაციდამ 15-მდე მეომარი ადვილად გამოვა, ოცი საერისთვო მაშინდელი გამოიყვანდა საომრად 40—50 ათასამდე მეომარსა». ამ ადგილს დიდ საგონებელში ჩაუგდია «კავკაზის კრიტიკოსი, ხაზი გაუსვია პირველის ორის სიტყვისთვის და ბძანებს: «ავტორი არ უჩვენებს, რა ცნობაზე ამყარებს იგი თავის აზრს და ჩვენ ძლიერ ვეჭვობთ, რომ მოხსენებული აზრი საერთოდ მიღებული იყოს. (მეფელეტონესაგან არის ხაზ-გასმული ეს სიტყვები.) მონგოლების შემოსევის დროს, მართალია, მოხდა აღწერა მცხოვრებელთა, მაგრამ როგორიც უნდა ყოფილიყო იგი, დამყარდება ამ გვარ სტატისტიკურ ცნობებზედ ცოტა არ იყოს შეუსაბამობაა».

რათა, ბატონო, რად არის შეუსაბამობა, ნება მოგვეცით გკითხოთ, იმ გვარ სტატისტიკურ ცნობაზედ დამყარება, როგორიც არის მონგოლების სტატისტიკური ცნო-

ბანი. თქვენ ის გინდათ თქვათ, რომ ნამდვილი არ იქნებოდენ ეგ ცნობანი: ან ნაკლებად იქნებოდა ნაჩვენები, ან მეტადაო, თუ ის რომ მეცნიერულ გამოკვლევის დროს საზოგადოთ სტატისტიკურ ცნობაზედ დამყარება არ შეიძლება. მაგრამ ჩვენ, როგორც პირველი, ისე მეორე მოსაზრება, თუ მათ ადგილი ჰქონიათ ავტორის მსჯელობაში, შემცდრად მიგვაჩნია. პირველი იმიტომ, რომ არამც თუ მონგოლების სტატისტიკას, ვერც ერთ ევროპის სახელმწიფოში ისეთს სტატისტიკურს ცნობას ვერ გვაჩვენებთ, რომ ნამდვილს ეშესაბამებოდეს: ან მეტი არ იყოს ნაჩვენები, ან ნაკლები. ჩვენ რუსეთის სტატისტიკაზედ, და ისიც ოფიციალურზედ, აღარას ვამბობთ. მაგრამ ამით კი სტატისტიკაზე მეცნიერულ დასკვნათა დაფუძნება ჯერ არავის არ უარ-უყვია. შეიძლება სტატისტიკის მეტოდი ეხლა უკეთესია, ხერხები სტატისტიკურის ძიებისა უფრო მარტივი, გონივრული და სამჯობინარო, რაშიაც ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, მაგრამ მაინც ეს იმას არ ამტკიცებს, რომ მონგოლებს თვლა არ სცოდნოდეთ და ლობიოთი დასთვლიდენ თუ სიმინდით, მაინც დაახლოვებით, ორთა-შუა რიცხვით ვერ შეიტყობდენ საქართველოს მცხოვრებთა რიცხვს. ეხლანდელი სტატისტიკაც მხოლოდ დაახლოვებით გამოკვლევაზეა დამყარებული. მეორე მოსაზრებაც ავტორისა იქნება უსაფუძვლო, იმიტომ რომ იმ სტატისტიკურს ცნობაზედ დამყარებულია ბევრგან ისტორიის მეცნიერი და ძიებისა და გამოკვლევის ხერხების არა ნაკლებ მცოდნე ბ-ნი დ. ბაქრაძე თავის ისტორიულს თხზულებებში. *) დადიშკელიანს თუ დაუშავებია, მაშ

---

*) იხ. Тифлисъ въ историческомъ и этнографическомъ отношеніи. Соч. Дм. Бакрадзе и Н. Берзенова.

ის დაუშვებია, რომ მეცნიერის კაცისაგან საფუძვლიანად მიღებული ცნობა საფუძვლად თავათაც მიუღია თავისს მოსაზრების დასამტკიცებლად.

ამის შემდეგ ნება ჰქონდა ავტორს ეთქვა, რომ შეუფერებლობაა დამყარება ისეთ ცნობაზედ, როგორიც არის მონგოლების ცნობა ქართველთ რაოდენობაზე? გაჭენებული კრიტიკოსი განაგრძობს: ბ-ნს დადიშკელიანს საერთო რიცხვი მცხოვრებელთა იმიტომ მოჰყავს, რომ მერე არითმეტიკულის პროპორციის შემწეობით მცხოვრებთა და ჯარის რიცხვის შორის საპროცენტო ურთიერთობა დაამყაროს და გამოჰყავს, რომ თითო ათას კაცზედ 10—15 კაცი მეომარი ყოველთვის გამოვიდოდა, ისე რომ ქვეყნის ეკონომიურს მდგომარეობასაც ზარალი არ მისცემოდაო. ეს ტყუილს აზრს შეადგენინებს მკითხველსაო, ბრძანებს მეფელეტონე, იმიტომ რომ 40—50 ათი ათასი ჯარი არ ეყოფოდაო საქართველოს, ისე იყო გარეშემოზღუდული მტრებით, რომელთა განდევნას და დამარცხებას მთლად სამეფოს ძალა და ღონე მოუნდებოდაო. კარგი და პატიოსანი და მერე ამით რა უნდა სთქვას ავტორმა. დადიშკელიანი ამბობს, რომ სამეფოს სამხედრო ძალა ჰქონდა და ეს ძალა იმის აზრით ამდენ და იმდენ ჯარის კაცთა რაოდენობითაც რომ განსაზღვრულიყო, მაინც ბრძოლას შეიძლებდა. ამას ამბობს დადიშკელიანი, ე. ი. იღებს სრულიად მცირე რიცხვს ჯარისას იმ ურწმუნოთა დასაჯერებლად, რომელიც პატკანოვისა და მრავალ სხვა ვითომ და მეცნიერებისა არ იყოს საქართველოს წარსული მხოლოდ ერთ უდაბნოდ მიაჩნიათ. თქვენ ამბობთ, რომ თვით დადიშკელიანს მოჰყავს ის ისტორიული ფაქტი, რომ თამარ მეფემ მოიწვია ერთის თავის ბრძოლისათვის ყველა, ვისაც იარაღის ტარება შე-

ემღერვო, მაშასადამე იმაზე ლაპარაკი, რომ ჯარის კაცთა გამოყვანის დროს ეზრუნათ იმაზედაც, რომ ქვეყანას მუშა ხელი არ მოჰკლებოდა, მეტიათ. მაგრამ დადიშკელიანს ამაზედ არც არა ულაპარაკნია-რა. იგი სრულებით არას ამბობს იმაზე, რომ ჯარის გამოყვანის დროს მეფენი და სარდალნი იმით ხელმძღვანელობდენ, რომ ქვეყანას მუშა ხელი არ მოაკლოთო. დადიშკელიანი მხოლოდ იმას ამბობს, რომ თუ საქართველოში 4 მილიონი ხალხი იყო, მას შეეძლო ქვეყნის ეკონომიურის ინტერესების დაურღვევლად გამოეყვანა 40—50 ათასი მეომარი და ვგონებთ ეს მოსაზრება სრულიად წინააღმდეგი არ არის არც მეცნიერულის მსჯელობისა და არც თვით სინამდვილისა. ხოლო უკეთუ ფაქტია ისიც, რომ ეს მალა არა ჰყოფნიდა საქართველოს, რისთვისაც მას ქუდზედ კაცი გამოჰყავდა კიდევ, ამას არც დადიშკელიანი უარ-ჰყოფს და ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ საქართველოს ბევრჯელ დიდი გაჭირება სდგომია და ხშირად სამხედრო ბანაკად ყოფილა გარდაქცეული თავის სახელის და არსების დასაცველად.

დადიშკელიანის აზრით დავით აღმაშენებელმა პირველმა დააწესა ესრედ-წოდებული როქის სპა. მეფელტონე უკიჟინებს და ამბობს ამაზე, რომ ერთი უმთავრესი პირობათაგანი მეცნიერულის მიებისა არა გცოდნიათ. საგანი ყოველმხრივ არ შეგისწავლია და ყველა წყაროები არ გადაგიხედნია ამ საგნის შესახებ, თორემ გეცოდინებოდა, რომ დავითზე წინად ბაგრატ მე-IV ჰყავდა დაქირავებული ჯარი, მაშასადამე როქის სპა, რადგანაც როქის სპა და ჯამაგირით დაჭერილი ჯარი ერთი და იგივეაო. აქ ჩვენ გვგონია, რომ მეფელტონე სიტყვას გამოჰკიდებია და მეცნიერულის ხერხების უცოდინარობას ტყუილად აბრალებს დადიშკელიანს. თქვენ რომ

სთქვათ, მაგალითებრ, წმ. ნინომ პირველმა მისცა დასაწყისი ქართველთ გაქრისტიანებასაო, ხომ მართალი იქნება, მაგრამ კრიტიკოსი ყელში მოგწვდებათ მაშინათვე და გეტყვით, ნინოზე ერთისა და ორი საუკუნით ადრე ანდრია მოციქული და სიმონ კანანელი ქადაგებდა ქრისტიანობას საქართველოში და მაშასადამე ნინოს პირველს არ მიუყვია ხელი ჩვენის ქვეყნის გაქრისტიანებისათვისაო. აგრეთვე რომ სთქვათ, დავით აღმაშენებლად დავით III-ეს იმიტომ ვუწოდებთ, რომ მან პირველმა დაიწყო შენება საქართველოსი, გაადიდა, გააძლიერა ქვეყანაო, იგივე ულმობელი კრიტიკოსი პირში სიტყვას გაგიწყვეტავთ და თითის მაღლა აშვერით დაგიწყობთ დამტკიცებას, რომ დავითზე წინად საქართველოს გაძლიერებას საფუძველი დაუდო და დასაწყისი მისცა ბაგრატიონების გაძლიერებამ მესხეთში, ბაგრატ III და ბაგრატ მე-IV დროსაო. თვით ბაგრატ მე-III თავის ხელით ჩასდო სამირკვლად ქუთაისის დიდის ტაძრის პირველი ქვაო და სხვ.

ასი ამ გვარი საზოგადო ხასიათისა და ყველასგან ცნობილის მოსაზრებათა ძალით კრიტიკოსი ცდილობს დაარღვიოს მეცნიერული დასკვნა და აზრები დადიშკელიანის წერილისა. დადიშკელიანს უკიყინებს, რომ სხვა წყაროები არა ჰქონია-რა ხელში, როცა უწერია თავისი წერილი, თორემ ესა და ეს როგორ შესცდებოდაო. მოდი და ნუ გაგეცინება! როცა კრიტიკულად არჩევს ამ წერილს ჭ მეტადრე იმ ადგილს სამხედრო კაცისაგან დაწერილის წერილისას, სადაც ძველ ქართველთაგან მაშველის ჯარის მოხმარებაზეა ლაპარაკი, სულ თვით ბ. კრიტიკოსის ცოდნის და ნაკითხობის ანუ ერუდიციის ავლა-დიდება დასტრიალებს იმავე ქართლის-ცხოვრებას და ბროსეს Addision-ს, საიდამაც მათე ედესელის და გოტიეს აღწერილობა

მოჰყავს, ვითომ იმიტომ რომ აი, მე რამდენი სხვა-და-სხვა წყარო შემისწავლია ამ საგანზედა. ავტორი უარ ჰყოფს, რომ ქართველებს რეზერვის მოხმარება სცოდნოდეთ, იმ გვარად, რა გვარადაც ამას დადიშკელიანი განმარტებს და დასამტკიცებლად ქართლის-ცხოვრების იმ ალაგს უჩვენებს, რომელიც დადიშკელიანმა მოიყვანა თავის წერილში. აქ გაუგებრობა გამოდის: მატიანეს სიტყვით, დავით სოსლანის ჯარი შანქორის ომის დროს ბალებისა და ჭანჭრობის ალაგისა გამო შეგვიანდა, ვერ მოუსრა დროზე ქალაქს და მარცხენა ფრთას მტრისას გვიან დაეცა თავსა. აქ ფაქტი ფაქტად რჩება, მხოლოდ განმარტება ფაქტისა მატიანესი სხვაფრივია და დადიშკელიანისა — სხვა გვარი. დავითის მიერ მარცხენით მოვლაში მატიანე არავითარს წინად მოსაზრებულს პლანს არა ჰხედავს და ვერც დაინახავდა და თავისებურადაც განმარტავს, ხოლო დადიშკელიანი, როგორც სტრატეგიის მცოდნე, ამ გარემოებაში ჰხედავს წინადვე მოსაზრებულს პლანს და ინდუქციით გამოჰყავს თეორია ქართველების მიერ რეზერვის ხმარებისა ლაშქრობის დროს. მატიანეს კითხვასა და მოხმარებასაც ცოდნა უნდა. იქ, სადა ჩვენი კრიტიკოსისთანა ისტორიკოსი მატიანეში ვერასა ჰპოვებდა, მატიანეს მომხმარებელი ვრცელს თეორიას შეადგენს, სადა პირველი მოვლენათა შორის კავშირს ვერ დაინახავდა, მცოდნე კაცი, მიმხვდარი მტკიცე ლოღიკას აღმოაჩენდა, სადა პირველს ფაქტები მხოლოდ უსწორ-მასწოროდ და უაზროდ მიყრილი ჰგონია ერთი-ერთმანეთზე, იქ სრული ზედ-მიყოლებითი პროგრესი აღმოჩნდებოდა, აზრი გამოაშკარავდებოდა. ახლა თვით მკითხველმა განსაჯოს, ვინ უფრო მეტის სიმართლით განმარტავს მატიანესაგან მოხსენებულს ფაქტს: თვით მატიანე, მეფელეტონე ისტორიკოსი, თუ დადიშკელიანი.

ჩვენ გვინდოდა, წერილის სათაურის თანახმად, მოგვე-ლაპარაკნა მეორე ისტორიკოსის შესახებაც, რომელმაც ღამის ცას მოსტაცოს ვარსკვლავნი, მზეს შუქი და დავით-სოსლანს ძლიერება. გვინდოდა შემდეგ ორს ისტორიულსავე ნაწერზე მიგვექცია მკითხველის ყურადღება, მაგრამ, ჩვენდა უნებურად, წე-რილი ძალიან გაგრძელდა და ამისათვის იძულებულნი ვართ მათ შესახებ საუბარი შემდეგ წიგნისთვის გადავსდოთ.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების საქმეთ-წარმოება

1883 წ. 15 მაისიდამ 1884 წ. 15 მაისამდე.

საზოგადოებაში ირიცხება 315 წევრი. პირველს წელიწადს საზოგადოების დაფუძნებისას იყო 245 წევრი, მეორეს —282, მესამეს—311, მეოთხეს—319 და წელს ირიცხება 315. ამ რიცხვიდამ დამფუძნებელია 115, მაშასადამე 19 ადგილია თავისუფალი დამფუძნებელის წევრობისა, რადგან შეუცვლელი რიცხვი მათი არის 126. საპატიო წევრი არის ერთი, არჩეული 1880 წ.—პროფესსორი დ. ი. ჩუბინაშვილი, ნამდვილი 200 და კანდიდატნი ამ უკანასკნელთა 11 პირი, რომელნიც დღეს უნდა აირჩიოს საზოგადო კრებამ საზოგადოების ნამდვილ წევრებად.

დააკლდა დამფუძნებელ წევრთა რიცხვს სამი და ნამდვილთ ორი წევრი, რომელნიც ამ საანგარიშო წელს გარდაიცვალნენ: თ. დიმიტრი დავითის-ძე ჯორჯაძე, ისრაფილ-ბეგ იედიგაროვი, იაზონ დიმიტრის-ძე თუმანიშვილი, ნიკოლოზ იერონიმეს ძე ალექსეევ-მესხიევი და სერგეი სვიმონის-ძე მესხი, რომელიც იყო აგრეთვე წევრი მმართველობისა.

საზოგადოების მმართველობას შეადგენდენ: თავსმჯდომარე საზოგადოებისა და მმართველობისა თ. ივანე კონსტანტინეს-ძე მუხრანსკი, თავხმჯდომარის ამხანაგი თ. ი. გ. ჭავ-

ჭავაძე. წევრნი მმართველობისა: ნ. ზ. ცხვედაძე, ი. ს. გოგებაშვილი, თ. ი. გ. მაჩაბელი, გ. დ. ქართველიშვილი, თ. გ. მ. თუმანიშვილი, ა. ი. სარაჯიშვილი და მღ. დ. ჯანაშვილი.

მმართველობის წევრთა კანდიდატებად ითვლებიან ბ-ნი დ. ზ. ბაქრაძე, თ. მ. ჭავჭავაძე, ლ. მღებრიშვილი და ეკატერინე გაბაშვილისა.

საზოგადოების ხაზინადარი არის გ. დ. ქართველიშვილი, საქმის მწარმოებელი გრ. ყიფშიძე.

საზოგადოების მმართველობის მოქმედება

წარსულის წლის ყრილობამ, რომელიც 3 ივნისს მოხდა, დაამტკიცა შემდეგი სია ხარჯისა საანგარიშო წლისათვის:

აუცილებელი ხარჯი.

ა) ბათუმის სკოლისათვის 1700 მ., ბ) ქირა, გათბობა, განათება, მოსამსახურე კანცელარიისთვის 300 მ., გ) სტიპენდიატებისთვის 414 მ., დ) სეკრეტრის ჯამაგირი 600 მ., ე) საკანცელარიო ხარჯისთვის 100 მ. სულ 3114 მ.

არა სავალდებულო ხარჯი

ა) ახალის სკოლების შესაწევრად 300 მ., ბ) წიგნების დასაბეჭდად 2000 მ., გ) პრემიებისათვის 1000 მ., დ) მოულოდნელის ხარჯისათვის 300 მ., ე) სასწავლო ნივთების და წიგნების სასყიდლად 300 მ. სულ 3900 მ.

ორივე ერთად სავალდებულო და არა სავალდებულო ხარჯის რიცხვი შეადგენს 7,014 მ.

მმართველობამ წლის განმავლობაში მოახდინა 20 სხდომა. სხდომაზედ თავმჯდომარეობდა თ. ი. გ. ჭავჭავაძე 10 ჯერ, ი. ს. გოგებაშვილი 10.

ახალი სახალხო სკოლები

საანგარიშო წლის განმავლობაში მმართველობამ დაამტკიცებინა ბ-ნ გუბერნატორს ერთის სოფლის განაჩენი, სახელად ხელთ-უბნისა, რომელიც გორის მაზრაში მდებარეობს. ნებართვა ამ სკოლის გამართვისათვის მმართველობამ უკვე მიიღო ბ-ნ თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორისაგან და იმედია რომ სკოლა დამდეგს ენკენისთვეს დაიწყებს მოქმედებას.

მეორე განაჩენი წარმოგზავნილი საზოგადოების კანცელარიაში, სახელდობრ ს. დიღმის საზოგადოებისა მმართველობამ უყურადღებოდ დასტოვა, რადგან ამ განაჩენის ძალით მცხოვრებნი სკოლის შესანახავად ძალიან ცოტა ფულს იწერენ თავიანთ შორის ყოველ-წლივ, სახელდობრ 20 თუმანს. ეს ფული ისე მცირეა, რომ მასწავლებლისათვისაც არ იკმარებდა ჯამაგირად, არამც თუ სხვა საჭირო სკოლის მოწყობილებასა, წიგნებსა და სასწავლო ნივთებსა ჰყოფნოდა კიდეც.

საზოგადოდ, მმართველობას გადაწყვეტილი ჰქონდა, როგორც ეს მოხსენებულია მის მოქმედების 1-ის წლის ანგარიშში 187$^9/_{80}$ წ., რომ იგი მხოლოდ იმ სოფელში და სასოფლო საზოგადოებაში იტვირთებს სკოლის გამართვას, წარმოებას და პასუხისგებას მის კარგად წარმოებისათვის, რო-

დესაც სოფელი ან საზოგადოება გაიწერს განაჩენით ყოველწლივ სასკოლო ფულს არა ნაკლებ ოც-და-თუთხმეტის თუმნისას. თუ მეტი ღონე არ არის მაგ., ან სოფელია პატარა, ან საზოგადოება, მმართველობა დათანხმდება და სკოლას გამართავს ამ გვარ სოფელში, თუ ეს უკანასკნელი იტვირთებს ყოველ წელიწადს სასკოლო გარდასახადს არა ნაკლებ ოც-და-ათის თუმნისას.

ჯერ-ჯერობით არც პირველ გვარი და არც მეორე გვარი განაჩენი სოფლებისა სკოლის გამართვის შესახებ მმართველობას არსაიდამ არ მიუღია ზემოხსენებულის ს. დიღმის და ხელთუბნის გარდა.

იმ აზრით, რომ ეს საქმე უფრო ცხოვლად და აჩქარებით მიდიოდეს, მმართველობამ საჭიროდ დაინახა აარჩიოს საქართველოს მაზრებში სანდო და გავლენიანნი პირნი, რათა მათ ურჩიონ სოფლებს და საზოგადოებათა დამართონ სკოლები. ამას გარდა ამ პირთ სხვა მოვალეობა და ვალდებულებაც ექმნებათ, რასაკვირველია, მაგრამ ამ სანდო პირთ დანიშნულებაზე ქვემოდ მოვიხსენებთ. ეხლა კი ვიტყვით, რომ მხოლოდ ადგილობრივ გამგე პირთ შეუძლიანთ სკოლების გამრავლების საქმეში დიდი სამსახური გაუწიონ საზოგადოებას და წერა-კითხვის გავრცელებას საქართველოში. ამ საანგარიშო წელში მმართველობამ გამართა თონეთის სკოლა, მაგრამ ამაზედ ანგარიში ცალკე იქნება ქვემოდ.

საზოგადოების სკოლები

ა) ბათუმის სკოლა

ბათუმის სკოლა მეოთხე წელიწადია რაც არსებობს ქ. ბათუმში განსაკუთრებით «საზოგადოების» ხარჯით. ამ სკო-

ლაზედ საზოგადოებას ეხარჯება ყოველწლივ 1700 მანათამდე. წარსულს საანგარიშო წელს და ამ წელსაც ბათუმის სკოლა საუკეთესოდ სწარმოებდა სწავლების მხრით, რადგან მასწავლებელი იმავე გულმოდგინებით ეკიდებოდა თავის საქმეს, როგორც წარსულის საანგარიშო წლის განმავლობაში, მაგრამ, სამწუხაროდ, სკოლის გარეგანი მოწყობილება ვერ იყო კარგი; უნდა ვსთქვათ, რომ სასკოლო სახლიც წელს უვარგისი გამოგვადგა; თუმცა სახლში 400 მანათს ქირას აძლევდა მართველობა, მაგრამ იგი არც სასკოლო მოთხოვნილებას შეეფერებოდა და არც გიგიენურს საჭიროებას აკმაყოფილებდა. სასკოლო ოთახი ისე პატარა იყო, რომ 40 ანუ 50 ყმაწვილი ძლივს მოთავსდებოდა თავისუფლად. მოსწავლე ყმაწვილების რიცხვი კი წელს იყო 64, რომელნიც ძლივს-ძლივს თავსდებოდნენ. მმართველობას იმედი ჰქონდა, რომ ეს სახლი მაინც გამოადგებოდა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა არც ის შეეფერებოდა სკოლის მოთხოვნილებათა. ამას გარდა მისი დაქირავების ვადაც გავიდა აპრილის 25. სხვა შესაფერი სახლი მთელს ბათუმში არც ერთი არ აღმოჩნდა, როგორც გვაცნობეს იქიდამ თვითონ მასწავლებელმა და საზოგადოების გამგებელმა ბ. გ. გაბაშვილმა. ყველა რიგიანი სახლი გაქირავებულია, ხოლო დანარჩენი სასკოლოდ არ გამოდგებიან, თუ საფუძვლიანად არ გადაკეთდნენ, მაგრამ რადგან გადაკეთებას დიდი დრო მოუნდება და ძველი სახლის დაქირავებაც მომავალს სასწავლო წლიწადის განმავლობაშიც შეუძლებელი იყო, მმართველობამ გადასწყვიტა შეუდგეს რომელიმე უფრო შესაფერი სახლის საფუძვლიანად გადაკეთებას ენკენისთვისათვის და მოაწყოს სახლი სასკოლო მოთხოვნილებისამებრ და ხანგრძლივის ვადით დაიქირავოს, იმ დრომდე, ვიდ-

რე საკუთარ სახლს იშოვიდეს, ან იყიდდეს, ან ააშენებდეს საზოგადოება.

საკუთარი სახლის მოპოება ბათუმში საზოგადოებისათვის წელსაც ისევ ისეთს საზრუნავს საგანს შეადგენდა, როგორც შარშან. როგორც მოგეხსენებათ, ბათუმში საზოგადოებას ჰქონდა დაპირებული ბათუმის გუბერნატორად ნამყოფის, კომაროვის მიერ სასკოლო ადგილი ერთის მხრით და მეორეს მხრით, ბათუმის მაჰმადიანთ ამ ორის წლის წინად სთხოვეს ეხლანდელს გუბერნატორს, ბ. სმეკალოვს, რომ ის ადგილი, სადაც მათ ოსმალთ მმართველობის დროს ჰქონიათ სკოლა, ან მისი ღირებული ფასი გარდაეცეს «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას.» ამ თხოვნაზედ ხელი უწერიათ 58 კაცს ბათუმის ქართველ მაჰმადიანთ. დღეს ეს ადგილი იყიდა «ამიერ კავკასიის რკინის-გზის საზოგადოებამ» და ფულიც, რომელიც 7000 მან. მეტს შეადგენს გადიდო კუთვნილებისამებრ. ჩვენი საზოგადოება ზემოხსენებულის წერილობითი საბუთების ძალით სთვლის თავის თავს ამ ფულის მესაკუთრედ და ამისთვის მმართველობამ სთხოვა ქუთაისისა და ბათუმის გუბერნატორს, რათა ეს ფული გარდაეცეს «საზოგადოებას». ამ საგანზედვე მან გაუგზავნა ქაღალდი ვიცე-გუბერნატორს თ. ერისთავს, რადგან იგი თავმჯდომარეობდა საადგილ-მამულო კომისიაში, რომელმაც სხვათა-შორის ის, ჩვენის საზოგადოებისათვის ბათუმის მაჰმადიანთა მიერ გარდმოცემული ადგილიც, დააფასა ზემოხსენებულ ფასსათ. ამ საგნისავე შესახებ ყოველი მიწერ-მოწერა და საჭირო ქაღალდის კოპიოები, ნოტარიუსთან დამტკიცებულს რწმუნების ქაღალდებთან ერთად, გაეგზავნა ქუთაისის იქაურის სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორს ბ. ალ. ჭიჭინაძეს,

რათა მან ადგილობრივ თვალყური ადევნოს ამ საქმის მსვლელობას და შეძლებისამებრ დაიცვას «საზოგადოების» ინტერესი.

სკოლაში სასწავლო წლის განმავლობაში სამი განყოფილებაა. მომავალი წლისათვის საჭირო იქნება მეოთხე განყოფილების დაარსება. მასწავლებლად იყო და არის ზ. მ. ნათაძე. თათრულის სჯულის მასწავლებლად იყო არხაველ აჯიოღლი-ეფენდი-ზადე-მაჰმედ-ხულში-ეფენდი. ტომით ჭანი.

ანგარიშის წლის დამლევს სკოლაში სულ 64 მოსწავლე იყო. ამათში 28 მაჰმადიანი, 36 ქრისტიანი, ქრისტიანებში ოთხი კათოლიკეა, დანარჩენი მართმადიდებელნი. მაჰმადიანები სულ სუნიტის მომდევრებისანი არიან; მაჰმადიანებში 8 ბეგია, 3 აღა, 8 ეფენდი. დანარჩენები გაჭრებისა და ხელოსნების შვილები არიან. ქრისტიანებში შვიდი აზნაურია, დანარჩენნი გლეხები. წელს სკოლას დააკლდა 19 მოსწავლე, ხოლო 25 შეემატა. ეს რიცხვი მოსწავლეთა განყოფილებებში ასე არის განაწილებული: 1-ს განყოფილებაში სწავლობს 31 მოსწავლე, ამათში 14 მაჰმადიანია, 17 ქრისტიანი. მეორეში სწავლობს 26—14 მაჰმადიანია, 12 ქრისტიანი. მესამე განყოფილებაშია შვიდი მოსწავლე.

მეოთხე წელიწადი მიდის რაც ბათუმის სკოლა დაარსდა და თუმცა ამ სკოლაზედ დიდი ფული ეხარჯება საზოგადოებას, სახელდობრ 1700 მანათამდე, მაგრამ ამ ხარჯსს შესაბამი ნაყოფიც მოაქვს. სკოლა ფრიად სასარგებლოა იმ მხარეში, მან მოიპოვა თანაგრძნობა ადგილობრივის მცხოვრებლებისა, როგორც მაჰმადიანთა მხრით, ისე ქრისტიანების მხრითაც და შეიძლება ვსთქვათ, რომ არსებითს საჭიროებად გარდაიქცა. იმის დასამტკიცებლად, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ბათუმის სკოლას, ჩვენ საჭიროდ ვსთვლით ვსთქვათ, რომ ბათუმის სკოლაში ყოფილა სულ 103 მოსწავლე დაარსებიდამ აქამომდე. ამ მოსწავლეებიდგან არც ერთი არ გასულა სკოლიდგან 6 თვეზედ ადრე, მაშასადამე არც ერთი მოსწავლე წერა-კითხვის უცოდინარი არ გაუსტუმრებიათ სკოლიდგან.

სრულის მადლობის და თანაგრძნობის ღირსია ზ. მ. ი. ნათაძე, როგორც მმართველობის მხრით, ისე საზოგადოების მხრითაც, იმ ერთგულისა და გონივრულის მეცადინეობისათვის, რომლითაც იგი ემსახურება ფრიად სასარგებლო საქმეს ბათუმის სკოლის მკვიდრად დაარსებისას ქართველ მაჰმადიანთა შორის.

ბ) წინარეხის სკოლა

ეს მესამე წელიწადი მიდის, რაც წინარეხის სკოლა გამართა და მოქმედობს. როგორც წარსულის წლის ანგარიშიდამ სჩანს, წინარეხის სკოლა იმ დროს გაიმართა, როცა ყოველივე ფორმალური წესები სკოლის გამართვის შესახებ დაკმაყოფილებული იყო, მხოლოდ მოწმობა არ იყო სახალხო სკოლების დირექციისაგან გამოგზავნილი სკოლის გამართვის ნება დასართველად. ამ მოწმობის მიღება დაგვიანდა სხვა-დასხვა მიზეზების გამო, რომელთ ვითარება წარსულის წლის ანგარიშიდგან მოეხსენებათ ზ-ნთ წევრთ. დაგვიანდა 1883 წ. 16 იანვრამდე. დირექციისაგან მოუვიდა ქაღალდი, რათა მმართველობას დაეკეტნა დირექტორის ნება-დაურთველად გამართული სკოლა. მმართველობამ ვერ იტვირთა და ვერ დაჰკეტა სკოლა, რომელიც ადმინისტრაციის განკარგულებით დაკეტილ იქმნა.

ამის შემდეგ სკოლა მეორედ გაიხსნა მხოლოდ ამ წლის 9 იანვარს, რადგანაც ოფიციალურად ნება-რთვა სკოლის გამართვისათვის მმართველობამ მიიღო დირექციისაგან 16 ნოემბერს და მმართველობის მიწერილობა კი სკოლის გახსნის თაობაზედ გორის მაზრის უფროსის მიერ აღსრულებული იქმნა 2 იანვარს.

მასწავლებლად წინარეხის სკოლაში დანიშნული იქმნა თბილისის წმ. ნინოს სასწავლებელში სწავლა შესრულებული სალომე მაღალოვის ქალი. სკოლაში ორი განყოფილებაა, პირველში 12 მოსწავლეა, ხოლო მეორეში კი 22, მაშასადამე სულ რიცხვი მოსწავლეთა 34. ამათში ქალი 20, ვაჟი 14. სწავლის მხრით ამ წელს სკოლა ჯეროვანის რიგით სწარმოებს,

როგორც მმართველობას შეტყობილი აქვს სკოლის მზრუნველთაგან, ხოლო თვით მმართველობის ერთ-ერთი წევრი სკოლას დაჰხედავს მაისის დამლევს, როცა ბავშვები საზაფხულოდ უნდა დაითხოვონ.

წელს მმართველობამ სკოლის შენობის ცოტათი მაინც რიგიანად მოწყობისათვის 55 მ. გაჰგზავნა. 50 მ. მასწავლებელს მისცა ჯამაგირად, რადგანაც სასკოლო გადასახადი ისე მცირეა, ე. ი. 250 მ. რომ ეს ფული საკმაო არ არის მასწავლებლის ჯამაგირად. მმართველობავე უგზავნის თავის საკუთარის საშუალებიდგან, როგორც სასწავლო ნივთებს და წიგნებს, ისე ყოველ-გვარს სასკოლო იარაღს და მოსწავლე ქალებისათვის ხელ-საქმის მასალას. წელს გაგზავნილი ამ გვარ ნივთების ფასი შეადგენს 30 მ. ხოლო სულ რაც დაეხარჯა ამ სკოლაზედ სოფლიდამ შემოტანილ სასკოლო ფულს 250 მ. გარდა არის 150 მ.

გ) თონეთის სკოლა.

თონეთის სკოლა ამ საანგარიშო წელს გაიმართა. ნებართვის მიღებისთანავე ბ-ნ თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორისაგან, 16 ნოემბერს 1883 წ. მიეწერა მასწავლებელს ბ-ნ ბესარიონ ჭილაძეს, რომელიც გორის საოსტატო სემინარიაში არის სწავლა დამთავრებული და რომელიც საზოგადოების სტიპენდიატი იყო, რათა მას შეეკრიბა ყმაწვილები და დაეწყო სწავლა. ბ-ნ ჭილაძეს, გაგზავნილს ს. თონეთში ენკენისთვეშივე, მინდობილი ჰქონდა მმართველობისაგან მოემზადებინა სახლი სკოლისათვის, შეეტყო ადგილობრივი ვითარება და როცა ყველაფერი მომზადდებოდა ადგილობრივ და ნება-რთვა მოვიდოდა სწავლა-განათლების მთავრობისგან, დაეწყო (სწავლება)—წარმოება სკოლისა. ისიც ისე მოიქცა. 20 ნოემბერს გაეგზავნა მას ყოველივე სასწავლო ნივთი და იარაღი, წიგნები, საკლასო მებელი, სულ 283 მ. 20 კ. და მიეწერა დაუყოვნებლივ შესდგომოდა საქმეს. 28 ნოემბერს სკოლა აკურთხეს და სწავლაც დაიწყო. შეგირდე-

ბის რიცხვი პირველ ხანებში იყო 45. ამ რიცხვში 35 ვაჟი და ათი ქალი. სკოლის მზრუნველის ბ-ნ კონსტანტინე ყავრიევის ქაღალდიდამ, რომელიც მან მმართველობას წარმოუდგინა, სჩანს, რომ სკოლა კარგად გაიმართა და კარგად სწარმოობს, რომ საზოგადოების ხარჯზედ აღზრდილი ბ-ნი ჭილაძე სინიდისიანად და მხნეობით ეკიდება თავის საქმეს.

სტიპენდიატები.

წელს გაათავებს კურსს ორი სტიპენდიატი საზოგადოებისა გორის საოსტატო სემინარიაში და ამით გათავდება კიდეც სტიპენდიატების ყოლა საზოგადოების მიერ.

შემწეობა სახალხო სკოლებისათვის.

წელს საქართველოში დაარსებულს სკოლებს ისე ვრცლად და უხვად ვერ აღმოუჩინა მმართველობამ შემწეობა, როგორც შარშანდელის საანგარიშო წლის განმავლობაში. მიზეზი ამისა ის იყო, რომ შარშანდელმა კრებამ ვერ გაჰბედა გადაედო ცოტაოდენი ფული მაინც ამ საგნისათვის, რადგან შიშობდა, რომ ვაი თუ ფული აუცილებელ ხარჯისათვის დაგვაკლდესო. მაგრამ მთელმა საანგარიშო წელმა დაგვანახვა, რომ ეს შიში უსაფუძვლო იყო. საზოგადოებამ დააკმაყოფილა ყველა სავალდებულო ხარჯი და ზოგი არა სავალდებულო ხარჯიც გაისტუმრა, ისე უხვად შემოუვიდა მას ფული წელს, როგორც კერძო პირთაგან და საზოგადოებათაგან, ისე წევრთაგანაც.

თუმცა ეს ასე იყო, თუმცა მმართველობას არავითარი თადარიგი არა ჰქონდა დაჭერილი სასწავლო ნივთებით და წიგნებით ხელი გაემართნა საქართველოს სკოლებისათვის უხვად, მაინც ცოტ-ცოტად ხელს უმართავდა ისეთს სკოლებს, რომელნიც მოიმართავდნენ ხოლმე მას ამ გვარის თხოვნით. მაგ. მან გაუგზავნა საჭირო ნივთები და წიგნები მესტიის სამრევლო სკოლას სვანეთში, სადაც მ. ქურციკიძეს უკისრნია მომართვა სკოლისა და 20-მდე მოსწავლეც შეუკრებია, ს. ხოვლევის სკოლას გორის მაზრაში, ლაილაშის სამრევლო სკო-

ლას ლეჩხუმში, ამტნის ხევის სკოლას თიანეთის მაზრაში, თვით თიანეთის სკოლას და საჭიროებისამებრ ეგზავნებოდა დაუყოვნებლივ სამს სკოლას, რომელნიც საკუთრად «საზოგადოების» სკოლებად ითვლებიან: ბათუმისას, წინარეხისას და თონეთისას.

საზოგადოების გამგებელნი მაზრებში.

რადგანაც საზოგადოების მმართველობა იმყოფება ქალაქში და არ აქვს შეძლება ერთის ადგილიდამ მისწვდეს საქართველოს (ყველა) სხვა-და-სხვა კუთხის საჭიროებას, წერა-კითხვისა დ წიგნების გავრცელების საქმეში და აგრეთვე ყველა იმ საქმეების შესახებაც, რომელნიც საზოგადოების მოვალეობას შეადგენს— მმართველობამ განიზრახა ამოირჩიოს საიმედო პირნი გამგებლად საქართველოს სხვა-და-სხვა ადგილას. ამ აზრით მან აირჩია კეთილ-საიმედო პირნი ყველა მაზრებში და მისწერა, რათა მათ ეტვირთათ საზოგადოების აგენტის მოვალეობის შესრულება. გამგებელთ უფლებათა და მოვალეობათა განსამარტებლად შესდგა მმართველობისაგან ისტრუქცია, რომელიც წერილებთან ერთად გაეგზავნა არჩეულთ პირთ სახელმძღვანელოდ. ეს ინსტრუქცია მმართველობამ დაჰბეჭდა კიდეც და თავისის შინაარსით წარმოადგენს შემდეგს მუხლებს: გამგებელმა უნდა იზრუნოს, რომ შეჰმატოს საზოგადოებას ახალი წევრები, იგივე ზრუნავს საზოგადოების შეძლების გაძლიერებისათვის სხვა-და-სხვა ღონის-ძიებითა: წევრთაგან საწევრო ფულის მოკრეფით ყოველ წლივ, სპექტაკლების და სხვა-და-სხვა გასართობი საღამოების გამართვით საზოგადოების სასარგებლოდ. მისსავე მოვალეობას შეადგენს სკოლების დაარსებაზედ ზრუნვაც და აგრეთვე დაარსებული სკოლების დახმარებაც და მათ მსვლელობის თვალ-ყურის ჭერა და სხ. და სხვ., რაიცა თვით დაბეჭდილ ინსტრუქციაში აღმოიკითხება დაწვრილებით და ვრცლად.

შემოწირულებანი საზოგადოების სასარგებლოდ.

1) მის უგანათლებულესობისაგან სამეგრელოს მთავრის

ძის ნიკოლოოზ დავითის-ძის მიერ საზოგადოებამ მიიღო ძვირ-ფასი დიდი სურათი შოთა რუსთაველისა, ძვირფასი ჩარჩოთი შემკული. 2) თ. გ. მაჩაბლისაგან დიდი სურათივე თამარ მე-ფისა, რაისთვისაც მმართველობა დიდს მადლობას უძღვნის ამ პირთ, ამას გარდა ბ. ადამიამ შემოსწირა ორი ოზმა საწერი ქაღალდი № 6 და 7. ორი შუშა მელანი, კალმები, კალმის ტარები და კარანდაშები, 4) ბ. დრევიჩმა შემოსწირა არსენას ლექსი 59 ეგზ., თამარ ბატონიშვილი 30 ეგზ., თ. რ. ერის-თვის თხზულებათა 1 ტომი 29, 5) ბ. ი. დავითაშვილმა შეაგრო-ვა დურგლებში და საზოგადოებას შემოსწირა 30 სახაზავი. 6) თ. ი. ჭავჭავაძემ შემოსწირა საზოგადოების ბიბლიოთე-კისთვის შემდეგი წიგნები: ა) Кавказъ въ памятникахъ христiанства, соч. Д. Бакрадзе, 1-ый выпускъ кавказ-скаго общества любителей исторiи и археологiи, ბ) На-родное образованiе и народныя школы: ихъ современ-ное положенiе и относящееся къ нимъ законода-тельство во всѣхъ государствахъ. გ) საქართველოს სამოთხე, საბინინისაგან დაბეჭდილი. 7) ბ. საბინინმა შემო-სწირა ერთი ხელთნაწერი წიგნი სახელად «ხმა ცოდვილისა ღმრთისადმი», იამბიკოდ თქმული თ. გიორგი ავალოვის მიერ. გადაწერილი 1839 წ. მოსკოვს. 8) მღ. პ. კარბელაშვილმა შემოსწირა ერთი ნომერი ჟურნალის «ცისკრისა» 1852 წ. 9) ბ. ს. ვაწაძემ ხელნაწერი ჩინგის-ყაენზედ.

საზოგადოების ბიბლიოთეკა.

თუმცა ამ საანგარიშო წელს «საზოგადოების» ბიბლიო-თეკის გასამატებლად არა იყო რა შარშანდელის სმეტით გა-დადებული, ისე რომ მმართველობამ ვერ შეიძინა ისეთი სა-ჭირო წიგნებიც კი, როგორიც არიან აკტები არხეოგრაფიის კომისიისა, მაგრამ მაინც საზოგადოების წევრთა შორის აღმო-ჩნდნენ ისეთი პირნი, რომელთაც არ დაიშურეს შემოსაწირა-ვად თითო-ოროლა წიგნები, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, მაგრამ ყველაზედ უხვი შესაწირავი ძველის ხელნაწერებისა და

მანუსკრიპტებისა იყო შემოწირული აწ გარდაცვალებულის, საუკუნოდ მოსახსენებელის ივანე იერონიმეს ძის ალექსეევ მესხიევისაგან. მან შემოსწირა წარსულის წლის სეკტემბერში ანუ საანგარიშო წლის დამდეგს 55 ძველი ხელნაწერი წიგნი, რომელთა შორის ბევრი ფრიად საინტერესო და ძვირფასია ისტორიისა და ლიტერატურისათვის. ამ უხვი შემოწირულობით ბევრი შეემატა ბიბლიოთეკას, ისე რომ დღეს 175 ცალის მაგიერად, კატალოგში უკვე 232 არის, ხოლო თითო ცალ წიგნში ხან ორი და ხან სამი ხელთნაწერია მოთავსებული; მაშასადამე ხელთნაწერთ რიცხვი 400-მდე ადის. დაბეჭდილი წიგნები 100 მეტია. სამწუხაროდ, კატალოგი ამ ხელნაწერებისა და აგრეთვე დაბეჭდილ წიგნთა, თუმცა შედგენილია და ნომრობით მოხსენებული, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერ დაბეჭდა მმართველობამ, რადგან შედგენილს კატალოგს შემოწმება და შესწორება ეჭირვება მცოდნე და დახელოვნებულის პირისაგან. ამას გარდა კატალოგი შედგენილი უნდა იყოს მეცნიერული მეტოდით, ხოლო რა ძნელია მეცნიერულის წესით ესრედ-წოდებული კატალოგიზაცია მანუსკრიპტებისა, კრებას კარგად მოეხსენება. ბ. დ. ზ. ბაქრაძე დაპირებულია, რომ იგი იტვირთებს ამ საქმეს. თუ მან მოიცალა ჩვენის ბიბლიოთეკისათვის, მაშინ შეიძლება მისი კატალოგის დაბეჭვდა ცალკე წიგნად, რისთვისაც ხარჯი დაპირებისამებრ იკისრა შარშან წინვე საზოგადო კრებაზედ ბ-ნმა იოსებ გრიგოლის-ძემ მელიქიშვილმა.

ახალი წიგნების ბეჭვდა.

მმართველობას საანგარიშო წლის განმავლობაში დასაბეჭდი წიგნი ბევრი მოუვიდა. წარსულ წლებშიაც მოუვიდა ორიოდე წიგნი, ასე რომ წიგნების ბეჭვდის შესახებ მმართველობას შეუძლიან თავისი მოქმედება გააძლიეროს და გააფართოოს. საჭირო ხარჯიც ამ საგნისათვის ჯერ-ჯერობით საკმაოდ აქვს. 1000 მ. შემოწირული ქუთაისის სადგილ მამულო ბანკისაგან იმ პირობით, რომ ამ ფულით სკოლაში საკითხავი წიგნები და საჭირო სახელმძღვანელონი დაიბეჭდოს. ამ საგ-

ნისათვის მოუვიდა მმართველობას 500 მ. თ. კ. მაჩაბლისაგან, რომელიც მას პეტერბურგში მოუგროვია ადგილობრივ წიგნის საბეჭდავად, მაგრამ მათ უქონლობის გამო ეს ფული «წერა-კითხვის საზოგადოებას» გადმოსცა. დავასახელებთ შემდეგს წიგნებსა, რომლებიც დასაბეჭდად მზად არის წელს:

1) რობინზონ კრუზე იახონტოვის რედაქტორობით გადაკეთებული და შემოკლებული, თარგმანი ა. თუმანიშვილის-მიერ. ამ წიგნისთვის საჭირო კლიშეები მას უკვე შეძენილი აქვს ს.-პეტერბურგის წერა-კითხვის კომიტეტისაგან, რომელსაც იგინი გამოართვა იმავე მხნე წევრმა საზოგადოებისამ თ. კ. გ. მაჩაბელმა თავის საკუთარის ფასითა.

2) მეორე წიგნი, აგრეთვე დასაბეჭდად გამზადებული არის მ. ქ. ყიფიანის-მიერ ნათარგმნი სახელმძღვანელო ფიზიკა, პროფ. გოკსლისა. ამ წიგნის რამდენიმე თაბახი უკვე დაბეჭდილია.

3) მმართველობას აქვს მიხეილ ყიფიანის-მიერვე თარგმნილი პირველ დაწყებითი სახელმძღვანელოები, რუსულად გადმოღებულნი ანგლიურიდამ ანტონოვიჩისაგან, რიცხვით 5: გეოგრაფია, ქიმია, ასტრონომია, ზოოლოგია და ბოტანიკა; მაგრამ ჯერ დასაბეჭდად მომზადებულნი არ არიან.

4) ამას გარდა მმართველობას აქვს ჯერ დაბეჭდისათვის მოუმზადებელი წიგნი: «О грозѣ», ბროშიურა თარგმანი გ. შარაშიძისაგან და რობინზონ კრუზე ანენსკის რედაქციის გამოცემა რუსულად გავრცელებით და ქართულად ნათარგმნი რ. ჯაჯანაშვილის-მიერ. იმედია, რომ ხსენებულ სახელმძღვანელოთაგან ნახევარი მაინც დაიბეჭდება მომავალი საანგარიშო წლის განმავლობაში.

საზოგადოების შემოსავალი

წარსული წლის ანგარიშისა კასსაში იყო 2 მ. 91 კ., შემოსავალი წევრებიდგან 358 მ. 80 კ., წინარეხის და თონეთის საზოგადოებათაგან 850 მ., გაყიდული წიგნებიდგან 64 მ. 19 კ., ნანეიშვილისგან უკან დაგვიბრუნდა 70 მ., კუპონებით

მივიღეთ 65 მ., ქუთაისის ბანკიდგან 1,000 მ., ბათომის და თბილისის ბალებიდგან 803 მ. 90 კ., ბანკის ყულაბიდგან 4 მ. 72 კ.; ვასილ გიორგის-ძე მაჩაბლისაგან 500 მ., სულ 3,719 მ. 52 კ.

გასავალი

ბათუმის სკოლაზედ დაიხარჯა 1,283 მ. 96 კ., წინარეხის სკოლაზედ 289 მ. 14 კ., თონეთის სკოლაზედ 406 მ. 66 კ., სტიპენდიანტებზედ 288 მ., პარტების გასაკეთებელი 164 მ., წიგნების სყიდვისათვის 163 მ. 30 კ., წიგნების გადასათარგმნელად გასამრჯელო 40 მ., სეკრეტრის ჯამაგირი 600 მ., ქირა კანცელარიისა, გათბობა, განათება და მოსამსახურე 292 მ., წიგნების გასაგზავნი საკანცელარიო, დამოულოდნელი ხარჯი 391 მ. 10 კ. სულ 3918 მ. 16 კ.

1884 წლის 15 მაისისთვის

გვრჩება კასაში 253 მ. 36 კ., კომერციულს ბანკში 3,118 მ. 88 კ., ოცი მომგები ბილეთი 4,000 მ., მუხრანსკის ბანკის ბილეთი 1,000 მ., აღმოსავლეთის ბილეთი 300 მან., ბილეთით მოგებული ფული 500 მ., სულ 9,172 მ. 24 კ.

შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა მომავალის წლისათვის:

I. მოსალოდნელი შემოსავალი.

1) 115 დამფუძნებელ წევრთაგან 2,300 მ. 2) 200 ნამდვილ წევრთაგან 1,200 მ., 3) სარგებელი საზოგადოების თანხისა 260 მ., 4) ბალისაგან 600 მ., 5) ქუთაისის ბანკისაგან შესაწირავი 1,000 მ., 6) საზოგადოების გამოცემათა გასყიდვისაგან 200 მ., 7) სპეკტაკლებისაგან და სხვა განუსაზღვრელ წყაროთაგან 1,000 მ., 8) ხელთუბნის სოფლის საზოგადოებისაგან 560 მ., 9) წინარეხის სოფლის საზოგადოებისაგან 500 მ., 10) თონეთის სოფლის საზოგადოებისაგან 300 მან. სულ 7,920 მან.

II. მოსალოდნელი გასავალი.

1) ბათუმის სკოლა 1,700 მ., 2) კანცელარიის ქირა, გათბობა და მოსამსახურე 300 მ., 3) სეკრეტარის ჯამაგირი 600 მ., 4) საკანცელიარიო ხარჯისათვის 100 მ., 5) წინარეხის სკოლა 350 მ., 6) თონეთის სკოლა 350 მ., 7) ხელთუბნის სკოლა 700 მ., 8) წიგნების დასაბეჭდათ 1,500 მ. 9) სასწავლო წიგნებისა და ნივთების გასაგზავნად ღარიბ სკოლებში 500 მ., 10) მოულოდნელი ხარჯი 500 მან. სულ 6,600.

თავმჯდომარის მაგიერი თ. ი. ზ. ჭავჭავაძე.

წევრნი:
იაკობ გოგებაშვილი.
თ. ი. მაჩაბელი.
გიორგი ქართველიშვილი.
ნ. ცხვედაძე.
მღ. დიმ. ჯანაშვილი.
თ. გ. მ. თუმანიშვილი.

საქმეთ-მწარმოებელი გრ. ყიფშიძე.

10. აზნაური ენაკოლოფაშვილი.

ამათი წინა-პარი იყო ენუქარქუნ, რომელიცა პირველ მოსახლეობდა ყარაბაღსა შინა ადგილსა და იყო პირველი მოქალაქე მუნებური სომეხთა სჯულისა. ხოლო ამათნი შთამამავლობათაგანი მოვიდნენ საქართველოსა შინა და დაესახლნენ და ესენი მიღებულ იყვნენ აზნაურის პატივით მეფეთაგან, გარნა უკანასკნელ დროსა მეფისა ირაკლისასა უმეტეს წარჩინებულ იქმნენ მირზა გურგინა და ძმა მისი მირზა მიხეილა, ვინაიდგან სპარსისა და არაბულისა ენისა და წიგნისა და წერისა მეცნიერნი იყვნენ და საკუთარნი მწერალნი მეფისა. ამისათვის დაუმტკიცა ამათ აზნაურობაი პირველის გვარისა ენუქარქუნისა ენიკოლოფაშვილად და მოიხსენა ტრაკტატსა შინაცა და არიან აწ მოსახლედ: 1) მირზა გურგინა შვილებად წოდებულნი, 2) აზარიაშვილებად და სხვანი.

11. აზნაური შანშიაშვილი.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ ძირით გამურჯელიძენი იმერეთის ადგილით მოყვანილნი საქართველოს მეფისაგან, ვახტანგისაგან მზევლად 1666 წელს ტფილისსა შინა. ხოლო მათ მზევალთაგანნი ეტროფიალა სომხეთის აზნაურისა ქალსა შანშიაშვილისასა გვარად და მას სომხეთსა არა ჰყვა ძე, გარდა იმა ქალისა, და აღუთქვა მან შანშიამ, უკეთუ მიიღებს სომხის სარწმუნოებასა, მისცემს მას ქალსა თვისსა და მამულსაცა. მაშინ გამურჯელიძე იგი ტროფიალებისა გამო გამოხდა და შეირთო ქალი იგი და მამულიცა მისი მიიღო. ხოლო რა სცნა ესე მე-

ფემან დიდმან თეიმურაზ ჰნება გარდასხდევინება გამყრელიძისა მისა, გარნა გამყრელიძე იგი განივლტო და მივიდა წინაშე სპარსთა მეფისა შააბაზისა და ევედრა მეფესთან შუამდგომლობასა. ხოლო მან სთხოვა მეფესა და ვერდა ურჩ მყოფმან მისცა ნებაი და არიან მუნიდგან გვარნი ამა გამყრელიძეებისანი შანშიაშვილებად წოდებულნი: 1) გიორგის შვილები, 2) სოლომონის შვილები, ხოლო ამათნი სახლის კაცნი, რომელნიც გათათრდნენ, ისევ სპარსთა მეფისა დროსვე, არიან: 1) იბრეიმ ნაზირის შვილები და მისის გზისა. ხოლო სხვანი ამათნი გვარნი არიან იმერეთს მოსახლენი, რომელნიმე რაჭას და რომელნიმე წირქვალს. ხოლო ქალაქს მოსახლეთა აქვთ მამული ბოლნისის ხეობასა შინა და არიან მუნ ყამიდგან აზნაურნი.

12. აზნაური გლურჯიძე.

ამათნი წინა-პარნიცა არიან აფხაზეთიდგან მოსრულნი კონსტანტინე მეფის დროსა 1473 წ. შარვაშიძეებთან, ვითარცა ზემორე დავწერეთ და მონათესავენი მათნი, გარნა აზნაურად მიღებულნი მეფეთაგან, რომელნიცა მოსახლეობენ თემმისა ხეობასა ზედა სასირეთს და არიან რაოდენიმე სახლად.

13. აზნაური კობიაშვილი.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ ძველადვე არაგვის ხეობის ადგილის აზნაურნი, მთისანი, რომელნიც პირველად ესახლნენ ადგილსა კობისასა. ხოლო უკანასკნელ დროსა მეფისა როსტომისასა 1633 წელსა შთამოვიდნენ არაგვის ვაკესა ადგილთა შინა და მუნ არიან მოსახლედ, ხოლო ამათგანნი რომელნიმე

სახლობენ კახეთს ბახტრიონსა შინა აზნაურნივე და არიან რაოდენიმე სახლად მოსახლენი ქსე კობიაშვილები. ხოლო კობიაშვილობა გაუქვარდათ კობის ადგილისა გამო.

14. აზნაური გარაყანიძე.

ამათნი წინა-პარნი მველადვე არიან ქსნის აზნაურნი პირველ ცხრა ძმის ხეობის მოსახლენი და მუნებურნი ხევის ბერნი მოხელედ, ხოლო ოდეს მოვიდა ყაზან ყაენი მტრობითა დიდითა დროსა მეფისა დავითისასა წელსა 1300 წ. ამათმან წინა-პარმან ბრძო მეფისა ლუარსაბის დროს 1556 წელსა მხედრობათა ყაზან ყაენისათა, ოდეს შევიდნენ ქსნის ხეობასა შინა, ვინადგან მეფე იყო გამაგრებულ არაგვსა შინა და ბრძოდენ მაშინ ამა გარაყანიანთა წინამძღრობითა, გამოდევნეს მტერნი ქსნის ხეობიდგან, რომლისა გამო მეფემან უბოძა და უწოდა გვარად განმურელობა და მერეთ, ცვლილებისა გამო ენისა, იწოდებიან გარაყანიძედ და არიან მუნიდგან აზნაურად წოდებულნი, ქსნის ხევზედ ლამის ყანას მცხოვრებნი და პატრონნი მის ადგილისანი: 1) ზურაბის შვილები, 2) დიმიტრის შვილები, 3) სპირიდონის შვილები. ხოლო სხვანი გარაყანიძეები არიან კახეთის წილნი, ზემო ავჭალას მოსახლენი.

15. აზნაური კორინთელი.

ამათნი წინა-პარნი მველადვე არიან კორინთლიდგან მოსრულნი, რომელნიცა სახლობდენ ქსნის ხეობასა შინა და იყვნენ ალევის ხევის ბერნი, წარჩინებულნი აზნაურნი, ეპურათ სოფლებიცა საკმაოდ, აქვნდათ მამული საკმაოდ. დროსავე მო-

რიან მეფისასა ჴსჩნდნენ ამათნი გვარნი წელსა ქრისტეს აქეთ 317-სა, ხოლო დროსა სვიმონ მეფისა ბაგრატის ძისასა 1623 წელსა, რა მიიღეს ერისთობა ქსნისა ქვემო ფხოველთა, ამათნი გვარნი ასწყვიტნეს და მიუღეს მამულნი, გარნა დაშთნენ კვალად ამათგანნი რაოდენნიმე და მათნი შთამომავლობანი აწ მოსახლეობენ ადგილსა საკორინთლოდ წოდებულსა, რაოდენმე სახლად.

16. აზნაური ჩერქეზიშვილი.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ ჩერქეზთა მთავართა აზნაურნი და, ოდეს ჩერქეზთა მებატონეთა ქალი რუსუდან შეირთო მეფემან საქართველოსმან, მაშინ მოყვა დროსა გიორგი მეფისასა 1562 წ. ზითევს შინა ჩერქეზი ვინმე აზნაური და მეფემან უბოძა ადგილნი გვერდის ძირს და უწოდა გვარად ჩერქეზის შვილობა გვართა ამათთა და არიან აწ რაოდენმე მოსახლედ გვარნი ამათნი და მუნიდგან იწოდებიან ჩერქეზის შვილებად.

17. აზნაური ჭილაძე.

არიან ესენი ძველადვე არაგვის მოსახლე მსახურნი კაცთაგანი შთამომავლობით, ხოლო უკანასკნელ მიიღო მეფისა ირაკლისაგან აზნაურობა ბაბანად წოდებულმა მსახურებისათვის, რომლისა გამო შვილთა ბაბანასთა უწოდებენ ბაბანაშვილებად, მოსულან ბაგრატ მეფის დროსა 1535 წ. იმერეთიდგან, საჭილაოდგან. ხოლო უმეტეს მეფის ძემ ვახტანგმა აღიყვანნა პატივსა შინა გლახა ბაბალა შვილი და უბოძა მამული და სო-

ფელი და აწ მოსახლობენ დუშეთსა შინა გლახა-შვილებად წოდებულნი და რომელნიმე ამათნი სახლის კაცნი მოსახლობდნენ კახეთს კონდოლსა სოფელსა შინა, რომელნიმე მოსდოგსა შინა, რომელ ამათაც მისცა მეფემან აზნაურობისა ხარისხი ცალმოგვად, ვინადგან პირველ არა ჰყავთ ყმანი და არიან ესენი ივანეს შვილები და ვასილის შვილები.

18. აზნაური იეგუალას შვილი.

ამათნი წინა-პარნი არიან სომეხთა მეფობათაგან ადგილით ყარსით ფრანგნი. მოსრულნი და ცნობილნი აზნაურად ადრევე და მეფისა თეიმურაზისა და ირაკლის განვე ცნობილნი 1778 წ., რომელნიცა მოიხსენებიან ტრაკტატსა შინა, დადებულსა მეფისა ირაკლისასა.

19. აზნაური მესხელაშვილი.

ამათნი წინა-პარნი არიან ოდიშიდგან მოსრულნი გვარით მასხულავანნი და მერე გაუგვარდათ სახელისა ცვლილებისა გამო მესხელაშვილებად შთამომავლობათა ამისთა. დროსა მეფისა ვახტანგისასა ჰსჩნდენ ესენი აზნაურად წელსა 1657.. და არიან ესენიცა ტრაკტატსა შინა მოხსენებულნი აზნაურად.

20. აზნაური მეღვინეთხუცისშვილი.

ესენი არიან მონათესავენი აზნაურის ჩერქეზის შვილისანი, ვითარცა ზემორე მოვიხსენეთ მათთვის. პირველ იყვნენ ესენი საცეციანოზედ მიწერილნი. უკანასკნელ მეფემან ირაკლი

დასდო საკუთრად სამეფო აზნაურად 1770 წელსა, რომელნიცა მოხსენებულ არიან ტრაკტატსა შინა. მოსულან მეფე ვახტანგის დროს 1655 წ. ყოფილან საკათოლიკოზო აზნაურნი და რადგანაც მღვინეთ-უხუცესი კათოლიკოზისა ყოფილან, ეს სახელი გაჰგვარებიათ. ესენი არიან ორ-გვარად: 1) მღვინედ-ხუცის შვილებად წოდებულნი, ხოლო მეორენი ჯომარდიძე შვილებად წოდებულნი. ესენი სახლობენ ხიდის-თავს და აქვთ მამული წედისსა შინა. ჯომარდიძეს შვილი სახლობს კახეთსა შინა თელავს და მეორე ჯომარდიძე—ხიდის თავს.

21. აზნაური სავარსამიძე.

ესენი არიან ძველადვე რაჭის აზნაურნი, მოსულან ვახტანგ მეფის დროს 1722 წ. საქართველოში. სულ წინად, თავდაპირველ მოსულნი არიან კილიკიის ადგილით სათვარიიდამ. და ამათნი წინა-პარნი სჩნდენ ვახტანგ გორგასლანის დროს, რომალთაცა აქვნდათ წყალობის წიგნიცა მისნი. რომელნიმე სახლობენ საქართველოში და რომელნიმე ამათ გვარნი იმერეთს და რუსეთს შინაცა იყვნენ.

22. აზნაური ფურცელაძე.

ამათნი გვარნი პირველ იწოდებოდენ თვარამედ იმერეთისა აზნაურად. ამათნი გვარნი სჩანან დროსა მეფისა გიორგისასა წელსა 1703-სა და სხვათაცა მეფეთა დროსა. ესენი მოვიდნენ იმერეთიდგან და დაეშენნენ სახსოსა ადგილსა ლეონ მეფის ძის საბატონოს შვილოსა საერისთოდ წოდებულსა და თვარი-

ძეები იწოდნენ ფურცელაძედ, შემდგომ ამათნი გვარნი სახლობენ რაოდენიმე იმერეთსა შინა.

23. აზნაური ტურისშვილი.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ ძველადვე მოსახლენი აზრუმისა ტირავანად გვარითა მდაბალ აზნაურად სომეხთა მეფეთაგან მიღებულნი. ხოლო ოდეს თურქთა დაიპყრეს აზრუმი, ესენი გარდმოსახლდნენ საქართველოსა შინა და მსახურებისათვის მეფეთა მიღებულ იქმნენ აზნაურად ტურისშვილად და უმეტეს დროსა მეფისა ირაკლისასა უფრორე მიღებულ იყო ზაალ ტურისშვილი.

24. აზნაური ჩრდილელი.

ამათნი წინა-პარნი არიან იმერეთიდგან მოსრულნი ადგილით ჩრდილოსით და ესენი იმერთა მეფეთა დროსვე იყვნენ აზნაურნი და სახელისა გამო ჩრდილისასა გაუგვარდათ ჩრდილელობა და ესენიცა არიან მხსენებელ ტრაკტატსა შინა მეფისა ირაკლისასა.

25. აზნაური გარსევანაშვილი.

ამათნი წინა-პარნი არიან საბერძნეთიდგან მოსრულნი, რომელნიცა მგალობელნი იყვნენ ბერძენთ მეფისა ასულის ელენე დედოფლისა, რომელიცა იყო მეუღლე მეფისა ბაგრატისა, ზითევსა შინა მოყოლილნი ელენე დედოფლისა და რომელნიცა მსახურებდენ ქრისტეს სამჭვალსა და ოქონისა ღვთის მშობ-

ლისა ხატსა, რომელ ხატი ესე მოსცა კეისარმან ზითევსა შინა ქალსა თვისსა ქრისტეს აქეთ 1028-სა და მერე მეფემან ბაგრატ მიიღო მათნი წინა-პარნი და უბოძა ამოწყვეტილის აზნაურის გარსევანად წოდებულის მამული და გვარიცა მათი და არიან მუნიდგან ცნობილნი აზნაურად და რომელნიცა არიან მოხსენებულ ტრაკტატსა შინა.

26. აზნაური კალატოზისშვილი.

ამათნი გვარნი რომელნიმე იტყვიან კავკასიის შთამომავლობათაგან, გარნა ცნობილ არიან დავით მეფის დროსა 1469 წელს. და ვინაიდგან ამათ წინაპართა იცოდნენ არხიტექტურობა და კალატოზობა, ამის გამო გაუგვარდათ კალატოზობა გვარად და არიან აწ მოსახლედ ქართლში რაოდენმე სახლად მდაბალ აზნაურებად და სწერიან ესენიცა ტრაკტატსა შინა.

27. აზნაური როსტევანისშვილი.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ საავაძეთა გვართაგანნი მოსახლენი თავრიზსა შინა და უკანასკნელ მოვიდა ვინმე როსტევან საავაძე და იმის გამო გაუგვარდათ როსტევანის შვილობა და ჰსხნდენ ესენი დროსა როსტომ მეფისასასა 1655 წ. აზნაურადვე მიღებულნი და მეფე ირაკლისგანცა ტრაკტატში არიან მოხსენებულნი.

28. აზნაური მანუჩაროვი.

ამათნი შთამომავლობა არიან ძველადვე სუმბატიანთ გვარისანი, რომელიც ზემორე აღვწერეთ სუმბატის შვილებისათვის

და ესენი არიან გვართაგან მათთა, გარნა აზნაურად მიღებულ-ნი მეფეთაგან და ტრაკტატსა შინა მოხსენებულნი.

29. აზნაური უთნელისშვილი.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ მცხოვრებნი პირველ ახალცი-ხეს კერძოდ ადგილსა შინა ოსთლად წოდებულსა, რომლისა გამო გაუგვარდათ უხთიელობა. ხოლო მერე ენისა ცვლილები-სა გამო იწოდნენ უთნელის შვილად. ესენი დროსა ახალცი-ხის დაპყრობისასა თურქთაგან შთავიდნენ იმერეთს და ამათნი გვარნი რომელიმე გარდმოვიდნენ ქართლს მამად უულიხანის დროს. 1724 წ. მოსულან საქართველოში. და დასახლნენ გვერდის ძირს ადგილსა ფლავს—სმანს საერისთაოს ადგილსა შინა და ხნდნენ ესენი აზნაურად ვახტანგ მეფის დროსა და სხვათაცა. ხოლო უკანასკნელ შეიქმნენ სამეფო აზნაურნი, რო-მელნიცა ტრაკტაკსა შინა არიან მოხსენებულნი. რომელნიმე სახლობენ იმერეთს გვართა მათგანნი.

30. აზნაური მახატელი.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ დროსა მეფისა არტავაზისასა კერპთა სასულიეროთა უფროსნი ქურუმნი, რომელსა ეწოდე-ბოდა მაყანტელი და მერე დროსა ბაგრატოანისა მოვიდნენ ხორნაბუჯს ადგილსა კახეთისასა და იყვნენ მუნ. ხოლო დრო-სა თამარ მეფისასა იყვნენ ჩინებულნი გვამნი მოხსენებულნი მახატელად და მოხელენი თამარ მეფისანი. ხოლო უკანასკნელ გარდმოსახლდენ ქართლსა შინა და დაშთენ მუნ და მერეთ, ოდეს სპარსთა დაუწყეს რბევა ქართლსა, მაშინ ქსნის ერის-

თავთა დაამდაბლეს მასაკტელნი და განიყმაკეს და დაშთნენ აზნაურად, რომელნიც პირველ იყვნენ თავადნი. ხოლო უკანასკნელ მეფემან ირაკლი დასდო ესენი თავისა აზნაურად, რომელნიცა არიან ტრაკტაკსა შინა მოხსენებულ.

31. აზნაური ყარაგოზაშვილი.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ განჯისა ქეთხუდანი და მერე დროსა მეფისა ირაკლისა პირველისასა და თეიმურაზისასა მიიღეს 1559 წ. თხოვნით განჯის მთავრისა ქალბანიხანისათა აზნაურთა რიცხვითა შორის ყარაგოზ სახელით (ქართულებ შავ-თვალა) და შვილნი მისნი იწოდებიან ყარაგოზის შვილებად და არიან აზნაურნი მცირენი ტრაკტატსა შინა მოხსენებულნი.

32. აზნაური მირზაშვილი.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ თათარნი აღალარნი და მწერალნი თათრულისა როსტომ მეფისა მირზანი და ამათ მაშინ 1655 წ. მიიღეს აზნაურობა და დაშთენ მირზაშვილებად შთამომავლობანი მათნი და ესენიცა მოსახლეობენ ქართლშია და იყვნენ მეფეთაგან აზნაურად მიღებულნი და ტრაკტატსა შინაცა მოხსენებულ.

33. აზნაური ზარდიაშვილი.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ შთამომავლობით დედით დავითის შვილისაგანნი, გარნა უკანასკნელ იწოდნენ ესენი ზარდია-

შვილებად, რომელიცა პირველ ძველად ზარდა ვინმე შანშიანი-სა ადგილსა მეპატრონე აზნაური და უკანასკნელ ამათ მიიღეს მამული იგი სამეფო, ვინაიდგან ზარდის აღარავინ დაშთა ნა-თესავთაგანნი და ესენი იყვნენ დედით მონათესავენი, ამისთვის გაუგვარდათ ზარდიაშვილობა და არიან მოხსენებულნი ტრაკ-ტაკსა შინაცა აზნაურ ზარდიაშვილებად.

34. აზნაური ზანდუკელი.

ამათნი წინა-პარნი არიან სახლის კაცნი კობიაშვილებისა და გვართაგან მათთა, რომელიცა ზემორე მოვიხსენე კობიან-თათვის და ესენი მოსახლეობენ არაგვის მამულსა შინა და არიან ტრაკტატსა შინაცა მოხსენებულ აზნაურად.

35. აზნაური არებაშვილი.

ამათნი წინა-პარნი ესახლნენ ვანის მხარეს, რომელნიცა იწოდებოდნენ აშაკურ არწუნელად. ხოლო შემდგომად თურქთა-გან დაპყრობისა მოვიდნენ ამათნი გვარნი და დაეშენენ სომ-ხითსა შინა და მიღებულ იყვნენ აზნაურად მეფეთაგან, და უმე-ტეს ჰსწყალობდა მეფე ვახტანგ არებას, არებაშვილს, რომე-ლიც გარდმოჰყვა რუსეთსა შინაცა შთამომავლობანი მათნი მო-სახლენი და მეფისა ირაკლისაგან მოხსენებულნი ტრაკტატსა შინა აზნაურად. ამათ გვართათვის ჰსწერენ სომეხთა მესტო-რიენი, რომელ იყვნენ გვარით ორბელიანნი. ხოლო იწოდე-ბიან აწ არებაშვილად სახელისაგამო.

36. აზნაური თურმანიძე.

ამათნი გვარნი არიან იმერეთიდგან სამეფო აზნაურნი, მოსრულნი ქართლში დროსა მეფისა თეიმურაზისასა ქრისტეს აქეთ 1748 და რომელნიცა მოხსენებულ არიან მეფისა ირაკლისაგან ტრაკტატსა შინა, ამათნი გვარნი რომელნიმე სახლობენ ქართლში და რომელნიმე იმერეთს.

37. აზნაური ჯომარჯიძე.

არიან ძველადვე მოსრულნი ახალ-ციხიდგან 1655 წ. მეფე ვახტანგის დროს, მონათესავენი მღვინეთ-ხუცესანთი, ვითარცა ზემორე დავსწერეთ. რომელნიმე სახლობენ კახეთს და რომელნიმე ქართლში და ესენიცა არიან მოხსენებულ ტრაკტატსა შინა.

38. აზნაური ქურული.

ამათნი გვარნი ძველადვე არიან რუსთაგან დაშთომილნი ქურულად გვარად წოდებულისა, რომელნიცა მოსახლობენ ქსანს, ადგილსა მონასტრად წოდებულსა და სვიმონ მეფისა ცოლ-შვილის მსახურებისთვის, ოდეს ოსმალთა შეიპყრეს სვიმონ მეფე. შემდგომ ესენიცა იყვნენ კარგად მიღებული წელსა 1558 და არიან ესენიცა მოხსენებულ ტრაკტატსა შინა და ამათნი გვარნი სახლობენ სხვა-და-სხვა სახლად.

39. აზნაური ოქრომჭედლიშვილი.

ამათნი წინა-პარნი არიან ახალ-ციხელნი და იყვნენ ოქრომჭედლობის ხელოვნებასა შინა და საკუთარნი ახალციხის ათაბეგისანი. უკანასკნელ დროსა მეფისა როსტომისასა გარდმოვიდნენ ქართლს. მოსულან 1636 წ. მეფე თეიმურაზის დროს და მიღებულ იქმნენ მდაბალ აზნაურად, რომელნიცა აწ მოსახლეობენ დვანს ქართლსა შინა და არიან ესენიცა მოხსენებულ ტრაკტატსა შინა.

40. აზნაური ბერძნის შვილი.

ამათნი წინა-პარნი არიან ტრაპიზონიდგან მოსრულნი ბერძენნი და მის გამო გაუგვარდათ ბერძნის შვილობა და არიან ცნობილ დროსავე მეფისა ლუარსაბისასა წელსა 1553-სა და ესენიცა არიან მოხსენებულ ტრაკტატსა შინა და არიან მოსახლე ლიახვის ხეობასა ზედა შინდისის სოფელსა რაოდენმე სახლად.

41. აზნაური ალექსი შვილი.

ამათნი გვარნი არიან პირველ მკვიდრი გურიისა და მათნი გვარნი მოჰყვნენ მამია გურიელის ქალსა ზითევში დროსა მეფისა გიორგისასა ქრისტეს აქეთ წელსა 1616. და ამა ალექსის მეს ეწოდა ალექსი და მუნიდგან მიიღეს ალექსის მეობა. ესენი არიან ორს ადგილს მოსახლედ: 1) ხიდის თავს და მეორენი ტფილისს და ესენიცა არიან მოხსენებულ ტრაკტატსა შინა.

42. აზნაური მარკოზიშვილი.

ამათნი წინა-პარნი არიან ძველად არღუთაანთაგანნი. გარნა ამათნი წინა-პარნი გარდასახლებულ იყვნენ ფანასკერტს, ადგილსა თაყა ფანასკენტელის მონათესავენიცა და მერეთ მოვიდნენ ქართლს მეფე დავითის დროსა 1300 წ. და პირველ იყვნენ სომეხთა სარწმუნოებისა და მერეთ მიიღეს მართლმადიდებლობისა სარწმუნოება და უწოდეს მარკოზ და მუნიდგან იწოდებიან აზნაურ მარკოზის შვილებად; თუმცა მეორე ხარისხის აზნაურნი იყვნენ, გარნა აქვნდათ მუშრიბობისა ხარისხი სახლთა ამათთა და არიან ესენი მოხსენებულ ტრაკტატსა შინა, რომელნიც მოსახლეობენ ტფილისის ქალაქსა შინა.

43. აზნაური ლარაძე.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ ახალციხის ნაწილის ადგილსა შინა ლივანად წოდებულსა მოსახლენი, მოსულან დავით მეფის დროს 1259 წ. და ოდეს განდგა ათაბეგი, მაშინ გარდმოვიდნენ სომხითსა შინა და მიღებულ იქმნენ მეფეთაგან აზნაურისა ხარისხითა და აქვნდათ სოფელნიცა, რადგან რაოდენისამე კომლისა კაცითა მოვიდნენ. და ესრეთვე აქვნდათ სახლად თრიალეთისა სამეფო შემოსავლის პურის მიკრეფის უფროსობაცა და ორთავე მეფეთა დროსვე არიან ცნობილნი, ესე იგი მეფის თეიმურაზისა და მეფის ირაკლის დროსა და მოხსენებულიცა არან ტრაკტატსა შინა, რომნელნიცა მოსახლეობენ ტფილისს, გიორგი ლარაძის შვილებად წოდებულნი.

44. აზნაური ნახუცრისშვილი.

ამათნი წინა-პარნი არიან იმერეთიდგან მოსრულნი, ხუციაშვილად წოდებულნი, რომელიცა ხუცესი ამათი წინა-პარი შესცდა და მეორე ცოლი შეირთო და დაუტევა ხუცობა. ამის გამო გაუგვარდათ ნახუცრის შვილობა და ამათნი წინა-პარნი ჩნდნენ დროსა მეფისა ბაგრატისასა წელსა 1629 და მუნიდგან არიან მოსახლენი ტფილისს დ̃ მოხსენებულნი ტრაკტატსა შინა.

45. აზნაური ფასტაშვილი.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ ჩერქეზთა აზნაურთაგანნი, რომელიცა ზითევში მოჰყვა ჩერქეზ ბატონის ასულს რუსუდანს, რომელიცა შეუმზადებდა ფასტას, რომელ არს (ფეტვის კრუპა) დროსა გიორგი მეფისასა 1562 წ. და ესე იყო მის დედოფლისა მზარეულთა უხუცესიცა. და მის გამო გაუგვარდათ შვილთა მათთა ფასტაშვილობა და არიან მუნით აზნაურნი და ტრაკტატსა შინაცა მოხსენებულნი.

46. აზნაური ჭარუაშვილი.

ჭარუაანნი თუმცა იყვნენ ძველად სომხეთა მდაბალი აზნაურნი, გარნა ასწყდნენ გვარნი მათნი და მეფემან მეორემან ირაკლიმ განახლა გვარი ამათი და უბოძა აქიმსა თვისსა და იწოდებიან მუნიდგან აზნაურად და მოხსენებულ არიან ტრაკტატსა შინაცა, აწ იწოდებიან აქიმოვებათ.

47. აზნაური მახვილაძე.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ მონათესავენი ამირაჯიბთა და ესახლნენ ჯავახეთის კერძო მთისა, მახვილად წოდებულსა, რომ-ლისა გამო გაუგვარდათ ესე სახელი მახვილეობა და დროსა ერეკლე მეფისასა, წელსა 1621-სა ცედანს სოფელს მოვიდნენ და დაეშენნენ სურამის კერძოდ და მუნიდგან გაუგვარდათ გვა-რი მისი სახელისა გამო და არიან მოხსენებული ტრაქტატსა შინა. ხოლო რომელნიმე ამათ გვარნი ჰსცხოვრებდენ როსიისა შინა და სხვანი ქართლს.

48. აზნაური ზავარაშვილი.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ სპარსნი ზავარ აღალარად ხსე-ნებულნი და დროსა მეფისა როსტომისა 1655 წ. იწოდნენ ზავარაშვილად და მიიღეს-და ქრისტიანობა და არიან ესენი მოხსენებულ ტრაქტატსა შინაცა.

49. აზნაური ჯავარაშვილი.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ ძველად 1039 წ. ახალციხის კერძო ჯვარის ციხის მოურავად და ოდეს მიიღო თურქმან ახალციხე, მაშინ მოვიდა ჯვარა ვინმე ამათი წინა პარი და და-ესახლა გაღმა მხრის სათარხნოს ადგილთა შინა სამეფოსა ად-გილსა და ესენი ცნობილ იყვნენ დროსა სვიმონ მეფისასავე აზნაურად და აწ რომელნიცა არიან მოხსენებულ ტრაქტატსა შინა ჯვარაშვილად მოხსენებული ჯვარის გამო სახელისა.

50. აზნაური რჩეუალშვილი.

ამათნი წინა-პარნი არიან კავკასიის მთით მოსრულნი და ადრევე ცნობილნი აზნაურად, რომელსა ეწოდა რჩეულა ოსის სახელით და ამის გამო გაიგვარეს. გვარნი ესე რომელნიმე სახლობენ სამაჩაბლოს და რომელნიმე გვერდის ძირს, ესენი ცნობილ არიან ვახტანგ მეფისავე დროსა 1666 წ. აზნაურად, რომელნიმე იტყვიან მონათესავედ მაჩაბელთა და ესენიცა არიან ტრაკტატში მოხსენებულ.

51. აზნაური ქუმსის შვილი.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ სპარსეთიდგან მოსრულნი, ქუმსი აღად წოდებული, რომელნიცა მოვიდნეჱ და დაეშენნენ ქართლს და მერე არაგვსა ზედა; ესენი ცნობილ არიან დროსა მეფისა როსტომისასა 1633 წ. აზნაურადვე და არიან ტრაკტატსა შინაც მოხსენებულ ქუმსის შვილებად ქუმსისა გამო სახელისა.

52. აზნაური დავითის შვილი.

ამათნი შთამამავლობანი არიან თავადის დავითისშვილის მონათესავენი და მისვე დროსანი აზნაურად მიღებულნი მეფეთაგან, რომელიც დავსწერეთ დავითის შვილისთვის და არიან მეფეთაგანცა მიღებულ და ტრაკტატსა შინაცა მოხსენებულ.

53. აზნაური ურქამაზაშვილი.

ამათი წინა-პარი იყო ურქამზა სპარსი, რომელიც დამფთხვლად იწოდება. ამისა სახელით და სიმსუბუქისა გამო გონებისა იწოდნენ ურქ ამზას დამთხვეულს მზას. ამათნი გვარნი იყვნენ მოსამსახურედ მეფისა როსტომისა. და იყვნენ მდაბალ აზნაურად მიღებულნი, ურქამაზაშვილებად წოდებულნი და აწცა არიან მოხსენებულ ტრაკტატსა შინა გვარნი ამისნი, მოსულ არიან 1638 წ. როსტომ მეფის დროს.

54. აზნაური ცეროდინეს შვილი.

ამათნი წინა-პარნი იწოდნენ ადგილისა გამო ცერონისასა, რომელ არს ფცის წყალსა ზედა მდგომარე სოფელი და მუნ მოსახლე აზნაური მდაბლისა ხარისხისა იყო ტანითა მცირე, რომლისა გამო იწოდებოდენ ცეროდინეს და ამის გამო გაუგვარდათ სახელი ესე შთამომავლობათა მათთა. რომელნიმე ჰსწერენ რომე იყვნენ ესენი ძველად ფალავანდიათ მონათესავენი და დამლობოდენ და უკანასკნელ შეიქმნენ აზნაურებად. ესენი ჩნდნენ დროსავე ვახტანგ მეფისასა წელსა 1712 და ტრაკტატსა შინაცა არიან მოხსენებულ. ხოლო სომეხნი უწოდებენ ხეროდინედ აზნაურად, რომელნიმე არიან სომხად სარწმუნოებით გვარნი ამათნი.

55. აზნაური თაუველისშვილი.

ამათ წინა-პართა გაუგვარდათ ადგილისა გამო თაუველისა, რომელიც მოსახლეობენ მუნ. ესენი არიან ძველად რაჭის

ადგილიდამ გარდმოსულნი ქართლსა, მოსულან ვახტანგ მეფის დროს 1712 წ. და ცნობილნიცა დროსა მეფისა თეიმურაზისასა მცირე აზნაურად, რომელნიცა მოხსენებულ არიან ტრაკტატსა შინაცა.

56. აზნაური წითელაშვილი.

ამათნი წინა-პარნი ძველადვე იყვნენ არაგვის საერისთოს ადგილის სახასო აზნაურნი, რომელნიცა იწოდებოდენ წითლაძეთ და ოდეს ვახტანგ მეფე წარვიდა რუსეთად, თანა გაჰყვა წითლაძე და მსახურებდა მუნ მეფესა და მან დაუმტკიცა 1726 წელსა წითლაძე შვილობა და მერმე მეფეთაგანცა არიან მიღებულ აზნაურად და არიან ტრაკტატსა შინა მოხსენებულნი გვარნი, რომელნიმე დაშთნენ რუსეთს და სხვანი არიან ქართლსა შინა.

57. აზნაური იშხნელისშვილი.

ამათნი წინა-პარნი ძველადვე არიან გურიათა აწრუნელნი, რომელსა ეწოდა არიუზ საჩივხული და ამის შვილს იშხან და ესენი იყვნენ კეისართაგან დადგინებულნი განსა შინა მებაჟეთა უფროსად წელსა 1042-სა და ოდეს განძლიერდენ, მოსულან იმერეთიდამ მეფის თეიმურაზის დროს 1745 წ. და დაიპყრეს კერძონი აზრუმისა და სხვანი. მაშინ მოვიდნენ გვარნი ამათნი ახალციხეს და რომელნიმე შთამოვიდნენ ქართლსა და რომელნიმე იმერეთს და დაესახლნენ სახასოთა ადგილთა შინა და არიან მუნიდგან ცნობილნი აზნაურ იშხნელის შვილებად და მოხსენებულ ტრაკტატსა შინაცა.

58. აზნაური ელარაშვილი.

ამათნი წინა-პარნი არიან ძველად კავკასიის მთით მოსრულნი ოსთა აზნაურთაგანი. ცნობილან 1719 წ. ელიაანას შვილებად, რომლისა გამო გაუგვარდათ ილარის შვილობა. და იწოდებიან ესენიცა ილარის შვილად და არიან აზნაურადვე ცნობილნი დროსა მეფისა თეიმურაზისა და ვახტანგისასა და ტრაკტატსა შინაცა არიან მოხსენებულნი.

59. აზნიური მიქელაშვილი.

ამათნი წინა-პარნი არიან იმერეთით მიქელაძეების სახლის შვილთაგანნი მდაბალ აზნაურად მიღებულნი, რომელნიც მოუვა ზითევსა შინა მიქელაძის ასულსა დედოფალს ხვარაშანს, მეუღლესა გიორგი მეფისასა და მუნიდგან არიან ცნობილ აზნაურად მიქელაშვილებად წელსა 1685-სა და მოხსენებულიცა ტრაკტატსა შინა.

60. აზნაური ფარიამანის შვილი.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ სპარსნი ფარი იამანიდამ მოსრულნი და არიან ცნობილნი დროსა როსტომ მეფისასა. 1634 წ. მიღებულ იქმნენ აზნაურად. ხოლო სახელი ამათი გამოითარგმანების ფარი იამან, რომელიც ნიშნავს (ფარი სახელსა და იამან ქვეყანასა და ამის გამო მიიღეს ფარი იამანის შვილობა) და არიან მოხსენებულ ტრაკტატსა შინა.

61. აზნაური შახოვი.

ამათნი გვარნი არიან ძველად მოსრულნი ჯულიდგან, ანსა შინა შახოვად წოდებულნი, გვარით სომხთა ბეზირგანნი და მერე ანიდგან მოსრულნი საქართველოსა შინა, ოდეს თათართაგან წახდა ანი და არიან რომელნიმე რუსეთს მოსახლენი და მათ რუსეთსა შინა მოსახლეთა მეფემან თეიმურაზ 1759 წ. უბოძა აზნაურობა შახოვა შველობისა დროსა მათს დიდებულების ელისაბედ იმპერატრიცისასა აშტარხანსა შინა რომელნიცა ესახლნენ ტფილისის მალაქელაშვილებად. უკანასკნელ მეფემან ირაკლი მისცა მერვე ხარისხის აზნაურობისა ადგილი და არიან მოხსენებულ ტრაქტატსა შინა.

62. აზნაური დიდებულიძე.

ამათნი წინა-პარნი არიან იმერეთიდამ მოსრულნი დროსა არჩილ მეფისასა, წელსა 1690-სა.

63. აზნაური ფანისშვილი.

ამათნი წინა-პარნი არიან მოსრულნი იმერეთიდგან. ფანიას შვილის სახლის კაცნი და ამათნი გვარნი ჰსჩნდენ დროსა სვიმონ მეფისასა 1561 წ. და არიან მოსახლე რუისის სოფელსა შინა და ამათნი გვარნი, რომელნიმე სახლობენ რუსეთში, რომელნიც მოყვნენ ვახტანგ მეფესა და არიან მოხსენებულნი ტრაქტატსა შინაცა.

64. აზნაური ორჯონიკიძე.

ამათ წინა-პარი გაუგვარდათ ადგილის გამო ორჯოსა, რომელიცა არს ნაწილი ახალციხისა და ესენი მოვიდნენ პირველ იმერეთსა შინა და მერე მოჰყვნენ აბაშიძეთა დროსა მეფისა ვახტანგისასა 1711 წ., რომელნიც მოსახლეობენ სააბაშიოში და სხვაგანცა და არიან ტრაკტასტა შინა მოხსენებულნიცა. -

65. აზნაური საყვარელიძე.

ამათნი წინა-პარნიც არიან ძირით იმერელნი და ამათ გვართაგანნი მოვიდა ქართლსა დროსა მეფისა ბაგრატისასა 1512 წ. და არიან მუნიდგან დაშთომილნი. ხოლო რომელ-ნიმე სახლობენ იმერეთს და რომელნიმე ქართლში, რომელნიც მოხსენებულნი არიან ტრაკტატში.

66. აზნაური ცაზქალამიძე.

ამათ წინა-პართა ადგილისა გამო ეწოდა ცალქალამისა და გაუგვარდათ ესე, ესენი არიან მველადვე მოსრულნი დროსა და-ვით მეფისასა 1509 წ. იმერეთიდამ და მოსახლეობენ ქართლში და არიან მოხსენებულ ტრაკტატსა შინა.

67. აზნაური მათადაშვილი.

ამათ გვართა ეწოდათ პირველ ანსა შინა ტერტერას მადათას სახელისა გამო შვილთა მისთა მადათაშვილობა და

იყვნენ მუნ ჩინებულნი ბეზირგანნი და დროსა ანისა დაცლისასა მტერისაგან რაოდენსამე გომლისა კაცითა მოვიდნენ სომხითსა შინა დროსა მეფისა ალექსანდრესსა 1415 წელსა და დაეშენნენ ბოლნისის ხეობასა შინა და მეფემან მიიღო მესამის ხარისხის აზნაურად და სხვათა მეფეთაგანცა შეწყნარებულ იყვნენ და ტრაქტატსა შინაცა არიან მოხსენებულ.

68. აზნაური ფირალაშვილი.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ სპარსნი ფილალიად წოდებულნი, რომელი გარდმოითარგმნების მოხუცი ალია ანუ მორწმუნე ალიასი. ესე ფირალი მოვიდა დროსა მეფისა ალექსანდრესა და დაეშენნენ ქალაქსა გრემსა, წელსა 1498 და მუნ იყვნენ აღალარისა ხარისხითა მცირის აზნაურობისათა. ხოლო უკანასკნელ, ოდეს მოვიდა კახეთსა ზედა შაჰაბაზ და მუნებურნი ხალხნი დაიხიზნენ, ესენი აღვიდენ ახალციხეს და მიიღეს სომეხთა სარწმუნოება და მერე დამშვიდებისა შემდგომად შთამოვიდნენ იმერეთს და არიან აწ მოხსენებულ ტრაქტატსა შინა ფირალაშვილებად მოხსენებულნი.

69. აზნაური ლორის-მელიქისშვილი.

ესენი არიან ძველადვე თავადის მელიქის შვილის სახლთა კაცთაგანნი, ვითარცა ზემორე აღვწერეთ თავადის მელიქის შვილისათვის და არიან აწ მოსახლენი, რომელნიმე ლორის ხეობაშია, რომელნიმე ტფილისს და რომელნიმე რუსეთსა შინა. ამათნი გვარნი რომელნიმე იწოდებიან პაპა მუშრიბის შვილებად, მელიქ ჯანაშვილებად, ავთანდილის შვილებად, ზრიგოგის

შვილებად, და სხვანი ხელოქანად და სხვანი. და ესე მელიქის შვილებიც არიან მოხსენებულ ტრაკტატსა შინა.

70. აზნაური ქალანთრისშვილი

ამათნი წინა-პარნი არიან მოსრულნი განჯიდგან ყაზახსა შინა, რომელნიცა იყვნენ მოხელენი სპარსთა ენისაებრ ქალანთარნი და ესე გაუგვარდათ შვილთა მათთა და არიან მცირე აზნაურისა ხარისხისა მქონენი. რომელნიმე არიან თათრად, რომელნიმე არიან სომხად, მიიღეს აზნაურობა მეფე თეიმურაზისაგან 1740 წ. სომეხი ქალანთრის შვილები სახლობენ შულავერას, ხოლო სხვანი რომელნიმე მოზდოკს და ყიზლიარს. ამათ უწოდებენ მკალავის შვილებად, რომელ იყვნენ მკალავნი ამათნი წინა-პარნი. ხოლო სხვანი სახლობენ ყაზახსა შინა და არიან მოხსენებულ აზნაურად მეტადრე ყაზახის ქალანთარნი, რომელიც ჰსხნდენ დროსა მეფისა თეიმურაზისასა.

71. აზნაური გილდაშვილი.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ სპარსნი და ეწოდა ოზ გელდი ესე იგი თვით მოსრული და ამათთა გვართა მიიღეს ქრისტიანობაი, დაესახლნენ ერწოსა საერისთოსა ადგილსა შინა და მერე რომელნიმე დაეშვნენ ქართლს და რომელნიმე კახეთს დროსა მეფისა თეიმურაზისასა 1648 წ. და არიან ესენიცა მოხსენებულ ტრაკტატსა შინა მეფისა ირაკლისაგან.

72. აზნაური ბაზლიძე.

ამათნი წინა-პარნი ძველად მოსულან დავით მეფის დროსა 1299 წ. მოსახლე იყვნენ ვაკე ბაზალეთს, რომელისა გა-

მოცა აქვნდათ გვარი ბაზლიძეობისა ადგილისა გამო და ოდეს ამათნი წინა-პარნი ამოწყვიტეს ნუგზარ სიდამონისძემ არაგვის ერისთავმა 1569 წ., ვითარცა ზემორე დავწერეთ არაგვის ერის-თავთათვის, მაშინ განიბნივნენ დანაშთნი ბაზლიძენი. რომელნიმე დაესახლენ კახეთს, რომელნიმე ქართლს და რომელნიმე ყიზ-ლარსა შინა და ამათნი გვარნი ცნობილ იყვნენ დროსა დავით მეფისასა წელსა 1299 და მოხსენებულნიც არიან ტრაკტატსა შინა მეფისა ირაკლისასა.

73. აზნაური ფატრელიშვილი.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ ლეკთა ადგილით ფადარით, რომლისა გამო გაუგვარდათ ფატრელობა. ესენი ცნობილ იყ-ვნენ დროსა მეფისა პირველისა ირაკლისასა 1703 წ. და მი-ღებულ მეფეთაგან აზნაურად, გარნა ამათნი გვარნი ასწყდენ და არვინმეღა არიან მცხოვრებ საქართველოსა შინა.

74. აზნაური შავერდაშვილი.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ განჯის ბეგლარბეგის შავერდის უგანონოს ცოლისაგან ნაშობნი და ამათი წინა-პარნი შავერდას შვილად ხმობილ. შავერდავე გასომხდა და დაესახლა ტფილისს. ესენი ჰსჩნდენ სვიმონ მეფის დროს 1559 წ. და ვახტანგ მე-ფესაც გარდმოყვნენ რუსეთსა შინა აზნაურობისა ხარისხით და ტრაკტატსა შინაცა არიან მოხსენებულ, სამეფო აზნაურნი არიან ესენიცა.

75. აზნაური ბათის შვილი.

ამათნი წინა-პარნი არიან ერთა აზნაურისა თაგაურისა სახელით ნათესა შთამამავლობისანი და, მის გამო გაუგვარდათ მამულით სახელი ბათუშვილობა. ამათნი წინა-პარნი ჩნდნენ დროსა მეფისა გიორგისასა 1563 წ. და მუნიდგან ცნობილ არიან მეფეთაგან ბათუშვილ აზნაურებად და მოხსენებულნი ტრაქტატსა შინაცა.

76. აზნაური უზნაძე.

ამათნი წინა-პარნი პირველ ესახლნენ ადგილსა ერწოს საერისთოსასა, სოფელსა, რომელსა ეწოდების უგნაძე და იყვნენ მუნ მოსახლენი უგნაძეთ ხმობილნი მცირე აზნაურნი, რომელ-თაცა განუგვარდათ სახელი ესე უზნაძეობა და არიან ცნობილ დროსა ვახტანგ მეფისასა და თეიმურაზისასა 1720 წ., რომელნიც აწ ჰსცხოვრებენ და მოსახლეობენ ლიახვს ხეობასა შინა და არიან ტრაქტატსა შინაცა მოხსენებულნი.

77. აზნაური ოთანაშვილი.

ამათ წინა-პართა ეწოდა ოტან, რომელიც დროსა თრდატ მეფისასა წინამძღომელი იყო მხედრობათა ქრისტეს აქეთ 259 წ. ესენი ესახლნენ პირველ დვინსა შინა, რომელ არს აწ გარნა-ჩაი და, ოდეს სპარსთა იწყეს რბევა სომხეთა სამეფოთა, მერე გარდმოესახლნენ ახალციხეს და მერე, განდგა რა ახალციხის ათაბეგი, შთამოვიდნენ საქართველოსა შინა, წოდებულნი ოთანა

შვილებად აზნაურად მიღებულნივე დროსა სვიმონ მეფისა 1588 წ. და სხვათაცა და არიან მოხსენებულნი ტრაკტატსა შინა.

78. აზნაური კოტეტის შვილი.

ამათ წინა-პარს ეწოდა სახელად კონსტანტინე, გარნა ეძახდენ კოტეტსა და ამის გამო გაუგვარდათ შთამომავლობათა მათთა კოტეტის შვილობა, ესენი არა არიან მკვიდრნი აზნაურნი არამედ მეფემან თეიმურაზ 1703 წ. უბოძა მღვდელსა კოტეტსა და შვილთა მისთა აზნაურობა, რადგან კარის ეკლესიის დეკანოზი იყო, აწ კოტეტის ეკლესიად წოდებული ტფილისსა შინა სამეფო სასახლის ადგილსა და არიან მოხსენებულ ტრაკტატსა შინაცა.

79. აზნაური გრიგოლაშვილი.

ამათნი წინა-პარნი არიან მოსრულნი ანიდგან, რომელნიც ესახლენ მუნ და იყვნენ პირველ ქედხუდანი და მერე ანის დამდაბლების გამო აიყარნენ და მოვიდნენ გრიგოლსა შვილები საქართველოსა შინა, რომელიც მიღებულ იყვნენ მდაბალ აზნაურად და რომელიცა ახლაცა რუსეთსა შინა ჰყავსთ მეფესაცა გრიგოლაშვილი და არიანცა მოხსენებულ ტრაკტატსა შინა.

80. აზნაური ფარესაშვილი.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ სპარსიდგან მოსულნი, სახელით ფარისად წოდებულნი და მის გამო მიიღეს შთამომავლობათა მისთა ფარესაშვილობა, ესენი ჰხსნდენ როსტომ მეფის დრო-

სა, რომელმან მიიღო 1635 წ. მცირე აზნაურად და მოხსენებულიცა არიან ტრაკტატსა შინა.

81. აზნაური გოგიბედაშვილი.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ ძველად კლდეკარის საერისთოს ადგილით მდაბალნი მონათესავენი მიწობლის მისანი და არიან ძველადვე სამეფო აზნაურნი და ესენი ჩნდენ დროსა მეფისა ლუარსაბისასა 1612 წ. და არიან ტრაკტატსა შინაცა მოხსენებულნი.

82. აზნაური ელიოზისშვილი.

ამათნი წინა-პარნი არიან ურიასტანიდგან მოსრულნი და მცხეთის ქალაქსა შინა მოსახლენი. ხოლო ამა ელიოზის შვილმან მღვდელმან ურიათამან აბიათარ მიიღო მეფისა ხოსროიანისა მირიანისაგან ხარისხი აზნაურობისა, ოდეს ნათელ იღეს წმიდა ნინოსაგან მეფემან და სხვათა ქართველთა. წელსა ქრისტეს აქეთ 317 და მღვდელმანცა აბიათარ და მაშინ იწოდნენ აზნაურად ელიოზისშვილებად საზოგადოთ. ხოლო ძმათა ამათთა შვილები იწოდნენ აბიათარის შვილებად, ელიოზის შვილებად და გედეონის შვილებად და არიან მოხსენებულ ტრაკტატსა შინაცა მეფისა ირაკლისაგან.

საკათოლიკოზო აზნაურნი.

83. აზნაური მაღალაშვილი.

ამათგანი რომელიმე იყო თავადი და რომელიმე აზნაური ვითარცა ზემორე დავსწერეთ თავადის მაღალაშვილისათვის. იხილეთ მუნ.

84. აზნაური ელიოზისშვილი.

იხილე ზემორე, ვითარცა დავსწერეთ.

85. აზნაური თუხარელი.

ამათნი წინა-პარნი მოსახლე იყვნენ სამცხის ნაწილსა შინა და საათაბეგოსასა თუხარის ადგილსა შინა და მუნებურნიცა მოხელენი და, ოდეს განდგა ათაბეგი, მაშინ მოვიდნენ საკათალიკოზოსა ადგილსა შინა მეფეხს დროსა დავით მეფისასა 1469 წ. და იწოდნენ გვარად თუხარელად ადგილისა გამო და არიან აზნაურნი მეორისა ხარისხისანი, რომელნიცა სახლობენ რაოდენმე სახლად: 1) სვიმონის შვილებად, 2) ზერის შვილებად, 3) ჭაბუას შვილებად და სხვანი და სხვანიცა არიან მოხსენებულ ტრაკტაქსა შინა.

86. აზნაური ქარსიძე.

ამათნი წინა-პარნი ესახლენ მველად არაგვის ადგილსა შინა ქსრის ხევსა და მერე გარდმოესახლნენ საკათალიკოზოსა

ადგილსა შინა და გაუგვარდათ ადგილისა გამო ქასრისა ქარსიძეობა. ამათნი წინა-პარნი ჰსჩნდენ სვიმონ მეფისა დროსა შინა 1580 წ. დროსა მეფის თეიმურაზისასა მიიღო უფროსმა პატივი გიორგი ქარსიძემან, ოდეს განჯისა ომსა შინა დაჭრა მტერთაგან მეფისა თანა და არიან ესენი ტრაკტაკსა შინაცა მოხსენებულნი.

87. აზნაური თაზიშვილი.

ამათნი წინა-პარნი ესახლენ სამცხეს და დროსა ახალციხის განდგომისასა შთამოვიდნენ ქართლსა 1703 წ. და ამათ შინა იყო უფროსი თამაზა, მცირე აზნაური მესამისა ხარისხისა, რომელსა ძველად უწოდნენ თამაზ შვილად და ამათმან გვართაგანმან ვინმემ განარისხა საქმესა რასმეზე და როსტომ მეფე და მეფემან შერისხა და უბძანა «შე თაზის შვილო» (ესე იგი თათრულად მწევრის შვილო) და მერმე მის გამო გაუგვარდათ თაზის შვილობა და ესენიცა არიან მოხსენებულ ტრაკტატსა შინა.

88. აზნაური ქადაგის შვილი.

ამათნი წინა-პარნი არიან იმერეთიდგან მოსრულნი, გვარით ქადაგიძეები ამით მიიღეს, რომელ მოხელენი მთისანი ანუ ისე მსახურნიცა კაცნი, ოდეს მტერი ვინმე მოვიდოდა საქართველოზედ ანუ სხვა რაიმე საქმე მოხდებოდა. ესენი, ვითარცა ქადაგნი, იმსახედ მოუყვებოდენ და უქადაგებდენ ერთა და განამხნობდენ და ამათ გვართაგანი ვინმე დაეცემოდის ქადაგად და მის გამოდ გაუგვარდათ სახელი ესე და იწოდნენ აზნაურ ქადაგის ძეებად შთამომავლობანი მათნი. ხოლო ამაზედანცა

არს კავკასიისა მთასა შინა, რომელიცა დაეცემის ვინმე ქადაგი და მომავალის საქმისათვის იტყვის რასამე, ვითამ ჩვენება რაიმე იხილა, ვითარცა არსანცა ფშაველთა და ხევსურეთსა შინა ქადაგად წოდებულნი: ხოლო ქადაგიძეები რომელნიმე სახლობენ იმერეთსა და რომელნიმე ქართლსა შინა და არიან მოხსენებულ აზნაურად ტრაკტატსა შინა. მოსულან სვიმონ მეფის დროს 1624 წ.

89. აზნაური ზუმბულიძე.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ ძველად აფხაზეთსა შინა მოსახლენი, დაშთომილნი სპარსთაგან მხედრობისა და მერეთ რომელნიმე გადმოვიდნენ საქართველოსა შინა და დასახლენ ქართლს და იწოდებიან მუნიდგან ზუმბულისძეთ და ცნობილნი იყვნენ დროსა ვახტანგ მეფისა და მოხსენებულცა არიან ტრაკტატსა შინა. რომელნიმე სახლობენ ქართლში და რომელნიმე ამათ გვარნი აფხაზეთს შინა.

90. აზნაური ყოვარიშვილი.

ამათნი წინა-პარნი იყვნენ იმერეთის აზნაურნი, ყრუაშვილებად ხმობილნი და ამათგანნი ვინმე მოვიდა ქართლსა შინა და დასახლდა და მისცეს გვარივე ყრუაშვილობისა, გარნა ენისა ცვლილებით უწოდნენ ყოვარიშვილებად და გაუგვარდათ ესე. ხოლო აწ რომელნიმე სახლობენ ქართლში და რომელნიმე იმერეთს და ესენიცა ცნობილნი იყვნენ აზნაურად ვახტანგ მე-

ფისა დროსვე 1702 წ. და არიან ტრაკტატსა შინაც მოხსენებულ.

91. აზნაური გვალიაშვილი.

ამათნი წინა-პარნი არიან იმერეთიდგან მოსრულნი, კაკიაშვილები გვარით. შესცვალეს სახელნი ამათნი გვალიაშვილებად. როსტომ მეფის დროს მოსულან 1635 წ. და არიან ესენიც ცნობილ მეფეთაგან და ტრაკტატსა შინა მოხსენებულ.

92. აზნაური ბოჭორაძე.

ამათნი წინა-პარნიცა არიან იმერეთის აზნაურნი და რომელნიმე მოვიდნენ ამათ გვარნი დროსა არჩილ მეფისასა 1698 წ. და დაესახლნენ ქართლს და მუნიდგან იწოდებიან ბოჭორას შვილებად გვარი ამათნი, რომელნიმე სახლობენ იმერეთს და რომელნიმე ქართლს და ესენიცა არიან მოხსენებულ ტრაკტატსა შინა მეფისა ირაკლისაგან.

93. აზნაური ეგაძე.

ამათნი წინა-პარნიცა არიან იმერეთიდამ მოსრულნი, რომელნიც იყვნენ ერამეთ ხმობილნი და აწ იწოდებიან გვარად ეგაძედ. ესენი ჴსჩნდენ ვახტანგ მეფის დროსა 1661 წ. და ტრაკტატშიაც არიან მოხსენებულ, რომელნიმე სახლობენ იმერეთს და რომელნიმე ქართლსა შინა.

მისი წარმოება ჩვენს უკიდურეს სიღარიბესთან დაკავშირებით. —ღარიბი და ღატაკი ლიტერატურული წარმოება მდიდარს და უხვს ლიტერატურულ წარმოებასთან ერთად ჩვენში. ისტორია და პოეზია. იაფი ფასის ისტორიკოსები. —გაზ. «კავკაზი» № 92. გაზ. «ახალი მიმოხილვა» № 136. საქართველოს მოკლე ისტორია მ. ჯანაშვილისა და ბიოგრაფი თ. გ. ერისთავისა. 121

VII. შინაური მიმოხილვა

დამატება:

VIII. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების საქმეთა წარმოება 1883 წ. 15 მაისიდამ 1884 წ. 15 მაისამდე.

IX მასალა ისტორიისათვის. შემოკლებითი აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა.

XI განცხადება (ყდაზედ).

ამ წიგნისათვის დამზადებული «შინაური მიმოხილვა» სხვა წიგნებშიაც ველარ დაიბეჭდება. რედ.

რედაქციისაგან

ვინაც «ივერიის» სრული ფასი ჯერ არ წარმოუდგენია, დანარჩენი წიგნი ჟურნალისა აღარ გაეგზავნება.

რედ.

განცხადება.

ამა 1884 წელს ჟურნალს «ივერიაზედ» ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ მთელის წლით.

ფასი მთელის წლისა შვიდი მანეთი.

ხელის-მოწერა მიიღება «ივერიის» რედაქციაში, სიმონ-სონოვის ქუჩაზე, 1-ს კლასიკურის გიმნაზიის უკან, ნაზაროვის სახლებში, აგრეთვე შავერდოვის საგენტოში.

ქუთაისში, ჭილაძის მაღაზიაში.

ბათუმში, წერა-კითხვის საზოგადოების სკოლის მასწავლებელ მ. ნათაძესთან.

ქალაქის გარეშე ხელის-მომწერთ წერილი და ფული შემდეგის ადრესით უნდა გამოგზავნონ:

Въ Тифлисъ

Въ Редакцію журнала «ИВЕРІЯ»

ვისაც ჟურნალი თავის დროზედ არ მიუვიდეს, ვთხოვთ, მალე აცნობოს რედაქციას.

რედაქტორი ილ. ჭავჭავაძე.